# სარბიელი

სპორტული გაზეთი

შაბათი 12 ოქტომბერი 2002 №194 (1716)

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# გამოისყიდეთ დაკარგული ღირსება!

## თუ საქართველოს ნაკრებმა ვერ მოუგო რუსეთს, ის დაკარგავს ხალხს. ეროვნული გუნდი ფედერაციის გუნდად დარჩება



# დავიძრათ, იუნკრებო!

## კლოდ სორელს და ბორჯღალოსნებს ეს თამაში ქართველი ხალხისთვის უნდათ

და კიდევ ერთხელ რუსეთი და კიდევ ერთხელ საქართველო, ოვალუ-
რი ბურთით ხელში.

წინ არის გზა მსოფლიო თასისკენ, რჩეულთა ადგილისკენ. ეს გზა არის
მოკლე, მაგრამ ძნელი. სანგრებით, ხლართებით, მთელი ათასი სიმწარით.
არის გრძელი გზაც, არანაკლებ რთული.

მაგრამ ჩვენ მივდივართ ამ მოკლე გზაზე. სულ ოთხმოცი წუთის სა-
ვალია. ეს ოთხმოცი წუთი შეძრავს მთელ ქვეყანას. ის იქნება სიხარუ-
ლის ცრემლების წუთი, რადგან საქართველო შედგამს ნაბიჯს ახალ,
უცნობ, დიად სამყაროში.

ანუ, საქართველოს დაუფასდება.

რუსეთი ძლიერია, მაგრამ სუსტები სახლში სხედან და ფლავს ჭამენ.

დავიძრათ, იუნკრებო!

# დიდი ჩამოფრენა








13.30. თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან ჩარტერული რეისი ჩამოფრინდა. მასპინძლები დასახვედრად მოემზადნენ, მიკროფონები, კამერები და ფოტოაპარატები მოიმარჯვეს და გამოსასვლელისკენ მიმართეს. მოლოდინის ხუთი წუთი, ათი...

იღება კარი, ზღურბლს ერთი უცნობი რუსი აბიჯებს, მეორე, მესამე... გამოჩნდა სახელოვანი გარუსებული ქართველი მოჭიდავე მიხეილ მამიაშვილი, მის ზურგსუკანაც ასევე უცნობი სახეები. თვითმფრინავის სალონი სავსე ყოფილა რუსი სტუმრებით, მეზობელი სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებათა ჩინოსანსა თუ უჩინოს თბილისში ჩამოსვლა, კაი დროსტარება მონატრებიათ. იყვნენ თეატრისა და კინოს, ხელოვნების მოღვაწენიც.

14.20. თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან მეორე ჩარტერული რეისი ჩამოფრინდა. წინასთან შედარებით მომცრო, ალბათ, კერძო. ამ ლაინერით ნასტუმრევნი რამდენიმე მასპინძლის გარდა თვალით არავის უნახავს, თუმც ესკორტი კი დავლანდეთ. მერე თქვეს, რუსეთის სპორტის მინისტრი ვიაჩესლავ ფეტისოვი, შამილ ტარპიშევი, რუსული ჭიდაობის ლეგენდა ალექსანდრ კარელინი, ცნობილი ბიზნესმენები სწორედ ამ თვითმფრინავით ჩამოფრენილან და ვიპთა გასასვლელით უსარგებლიათ.

14.25. TY 154-ის ძრავის გრუხუნი. რუსეთის სამთავრობო თვითმფრინავი, რუსეთის სახელმწიფო ფერებითა და წარწერით „ევრაზია" დასაფრენ ზოლს შეეხო. საბაჟო კონტროლთან მგზავრები წამითაც არ შეყოვნებულან — თბილისს რუსეთის ეროვნული გუნდი ესტუმრა. როგორც ვაგონი ვაგონს, ფეხბურთელები ერთმანეთს ჩაებნენ და გაკვალული დერეფანით ავტობუსს მიაშურეს. გზადაგზა კი რუსმა ფეხბურთელებმა სახელდახელო ინტერვიუები ჩამოარიგეს. შედარებით მეტ ხანს შეყოვნდა სტუმართა მწვრთნელი ვალერი გაზაევი, ერთი-ორი სიტყვა და დანარჩენს სასტუმრო „შერატონში" პრესკონფერენციისას გეტყვითო. რუსული ავტობუსი ავლაბრისკენ დაიძრა, თუმც დასახვედრი ტერიტორია არ დაცარიელებულა, ნაკრებს რუსეთის საფეხბურთო კავშირის თანამშრომლები, ჟურნალისტები და... ძალიან ნაცნობი სახეც გამოჩნდა. აღნაგობა ძველებური, ტანხმელი, სერიოზული გამომეტყველება, აღრინდელივით ფერმკრთალი, ოღონდ შებერებული. ჩვენს წინ თავის დროზე მსოფლიო კლასის მეკარე რინატ დასაევია. შევაყოვნეთ და ორიოდ სიტყვა ვთხოვეთ, გვერდით ვაგიზ ხიდიატულინმა ჩაგვიქროლა. გამოჩნდა აზრიკ ცვეიბაც, აფხაზეთში დაბადებულ-გაზრდილი, თბილისის „დინამოში" დავაჟკაცებული და მერე რუსეთს გადახვეწილი. იგი უმალ „დინამოს" აღმასრულებელ დირექტორ გია ფირცხალავას, ასევე ყოფილ დინამოელ ლევან ბარათაშვილისა და კახა ცხადაძის ალყაში აღმოჩნდა. მათ სხვა რუსი ვეტერანი ფეხბურთელებიც მოჰყვნენ, ერთი მინიბუსი იკმარეს და ქალაქისკენ გასწიეს.

14.45. თბილისის აეროპორტი მოსკოვიდან კიდევ ერთ ჩარტერულ რეისს ელოდა, თბილისში რუსი მორაგბეები უნდა ჩამოსულიყვნენ...

უკვე ჩამოსულთაგან კი, ზემოთაც ვთქვით, რამდენიმესთან გასაუბრება მოვახერხეთ. პირველად ცნობილ მოჭიდავეს **მიხეილ მამიაშვილს** გამოველაპარაკეთ.

— მიხარია, რომ ჩემს სამშობლოში ჩამოვედი. ფეხბურთის გარდა ახლობელ-მეგობრებსაც ვნახავ.

**— ვის გულშემატკივრობთ საქართველო — რუსეთის მატჩში?**

— თქვენი აზრით?

— ...

— რა თქმა უნდა, საქართველოს. თუმც ეს მთავარი არ არის. იმედია, გულშემატკივარი ლამაზ ფეხბურთს იხილავს. ზედმეტი ილუზიები არ უნდა შევიქმნათ. პირადად ჩემთვის პოლიტიკა არაფერს ნიშნავს. ეს უბრალოდ არ მაინტერესებს. ფეხბურთი სპორტია და ვინც ძლიერია, იმან მოიგოს.

**ეგვენი ალდონინი**

— წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. თამაში ყველაფერს გამოაჩენს.

**— შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

— ალბათ, თანაბრად. თუმც ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა გვინდა და სამი ქულაც გვჭირდება. იმედი მაქვს, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება.

**— საქართველოს ნაკრების თამაში თუ გინახავს და რა შეგიძლიათ თქვათ ამ გუნდზე?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. ნორმალური გუნდია. თქვენი უპირატესობა მხოლოდ ის არის, რომ შინ თამაშობთ. გულშემატკივართა მხარდაჭერა ცოტას არ ნიშნავს, თუმც ცხადია, ეს გადამწყვეტიც არაა.

**ვლადიმირ ბესჩასტნიხი**

— დარწმუნებული ვარ, საინტერესო თამაში იქნება. მეტი რა გითხრათ...

**— უპირატესობას ვის ანიჭებთ?**

— ამას მატჩი გამოაჩენს. ვფიქრობ, შანსები თანაბარია. ჩვენ ყველანაირად მზად ვართ. ასე რომ, დაძაბული ბრძოლა გველის. რუსეთის ნაკრების ყველა წევრი მობილიზებულია და ახლა მხოლოდ საქართველოსთან მატჩზე ვფიქრობთ.

**რინატ დასაევი**

**— ხვალინდელ მატჩზე რას იტყვით?**

— რომელზე? ხვალ ბევრი თამაშია.

**— ალბათ ხვდებით, რომ საქართველო — რუსეთზე გეკითხებით...**

— გულშემატკივრებისთვის საინტერესო სანახავი უნდა გამოდგეს. დარწმუნებული ვარ, დაძაბული და ლამაზი ფეხბურთი იქნება.

**— საქართველოს ნაკრებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით. ქართველების თამაში უკვე რა ხანია, არ მინახავს. ამიტომ საქართველოს ნაკრებზე წარმოდგენა არ მაქვს.

**— დიდი ხნის პაუზის შემდეგ ისევ თბილისს ესტუმრეთ...**

— ეს ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა. ვნახავ ჩემი თაობის ქართველ ფეხბურთელებს. ჩვენ უკვე ვეტერანები ვართ, მაგრამ მაინც სულ ერთად უნდა



მიხეილ მამიაშვილი



რინატ დასაევი



ვაგიზ ხიდიატულინი



ვიქტორ ონოპკო

ვიყოთ. ნუ მივაქცევთ პოლიტიკას ყურადღებას და არ დავკარგოთ ერთმანეთი. ეს უმთავრესია.

***კაგიზ ბიდიატულინი***

**— თქვენი აზრით, რა ხასიათს მიიღებს საქართველო — რუსეთის მატჩი ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურად დაძაბული ურთიერთობის ფონზე?**

— პოლიტიკა საერთოდ არ მაინტერესებს. ეს ჩვენი საქმე არაა. ამიტომაც ამ მატჩს პოლიტიკის ნაწილადაც არ მივიჩნევ. ეს მთავრობის საქმეა, ჩვენ ხომ უბრალოდ ფეხბურთი გვიყვარს და სწორედ ამან უნდა გაიმარჯვოს საქართველო — რუსეთის მატჩში. დანარჩენზე თავად პოლიტიკოსებმა იფიქრონ.

**— უპირატესობას რომელ მხარეს მიანიჭებთ?**

— როგორც ვიცი, ეს პირველი ოფიციალური მატჩია ამ ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა შორის, ამიტომ ძალიან დაძაბული თამაში იქნება. ვფიქრობ, მოგების მეტი შანსი რუსეთს აქვს. უბრალოდ, რუსეთში უფრო ორგანიზებულია საფეხბურთო მეურნეობა და ნაკრებსაც დიდი ყურადღება ექცევა. საქართველოში კი, როგორც გავიგე, ამ მხრივ შედარებით ცუდადაა საქმე. ეს ყველაფერი ალბათ რუსეთის სასარგებლოდ იმოქმედებს.

**— ქართველი ფეხბურთელებიდან თუ გსმენიათ ვინმეზე?**

— როგორ არა. ევროპულ ჩემპიონატებს თვალყურს ვადევნებ და იქ მოთამაშე ქართველებიც ვიცი. იაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ქინქლაძე... ბევრის ჩამოთვლა შემიძლია, მაგრამ მხოლოდ ლეგიონერებით შორს ვერ წახვალ. კონკურენცია აუცილებელია. ამ მხრივ ვალერი გაზაევის გუნდში შედარებით ნორმალური სიტუაციაა.

***ახრიკ ცვეიბა***

— ეს ფეხბურთია და პოლიტიკის გაგონებაც არ მინდა. ჩემთვის საქართველო — რუსეთი დღეს მხოლოდ ფეხბურთია. შეხვედრა საინტერესო უნდა გამოდგეს. ქულები ორივე გუნდს სჭირდება და მოსაგებად იბრძოლებენ. იმედია, ლამაზი სანახაობა გველის. ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მომეცა. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

***ვიქტორ ონოპკო***

— საინტერესო თამაში გველის. შანსებს თანაბრად ვაფასებ. დანარჩენს თავად მატჩის ხასიათი გამოაჩენს. ბიჭები მზად არიან და მოგების იმედიც გვაქვს, თუმც მეტოქესაც პატივს ვცემთ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

***იგორ იანოვსკი***

**— საქართველოს ნაკრების თამაში თუ ნახეთ?**

— შვეიცარიასთან მატჩი ვნახეთ ვიდეოფირზე.

**— რისი თქმა შეგიძლიათ მეტოქეზე?**

— საკმაოდ ტექნიკური ფეხბურთელები გყავთ. მართალია, შვეიცარიასთან წააგეთ, მაგრამ ეს უფრო შემთხვევითობა იყო.

**— თქვენ მართლა ასე ფიქრობთ?**

— დიახ, დარწმუნებული ვარ, იმ მატჩში საქართველოს უკეთესი შედეგის მიღწევა შეეძლო. უბრალოდ, არ გაუმართლა. მართალია, დიდი ანგარიშით წააგეთ, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.



ახრიკ ცვეიბას მასპინძელი კახა ცხადაძე

**— კი მაგრამ, თამაშის ხარისხი?**

— ესეც დამაკმაყოფილებელი იყო. უშეცდომო არავინაა.

**— ესე იგი, საქართველოს სერიოზულ მეტოქედ მიიჩნევთ. თბილისში ფრე დაგაკმაყოფილებთ?**

— არა. არავითარ შემთხვევაში. აქ მოსაგებად ჩამოვედით. ფრე ხელს არ გვაძლევს. ახლა ქულები გვჭირდება და ყველაფერი უნდა გავიღოთ მოსაგებად. თუმც შანსები, ალბათ, მაინც თანაბარია.

სასტუმრო „შერატონში" რუსეთის ნაკრებმა ისევე სწრაფად დაინაწილა ნომრები, როგორც საბაჟო გაღმოკვეთა. ფეხბურთელები დაღლილები ჩანდნენ, თუმც ვერ იტყოდი, უხასიათოდ არიანო. ვალერი გაზაევმა კი ფოიეში შეკრებილ რუს და ქართველ ჟურნალისტებს პრესატაშე ალექსეი ანდრონოვის პირით შემოგვითვალა, 45 წუთში პრესკონფერენციას გავმართავო. პუნქტუალობაც ამას ჰქვია. საათის ისრებმა ოთხის ნახევარი რომ აჩვენეს, ლიფტის კარი გაიღო და მომღიმარი მწვრთნელი დარბაზისკენ დაიძრა. რუსთა თავკაცს ბევრი არ ულაპარაკია, მოკლე, კონკრეტული ფრაზებით შემოიფარგლა, ერთ სტუმარ კოლეგას კი, თბილისში ჩამოსულს ცოტა არ იყოს, შიშის ფერიც რომ დაჰკრავდა, სიმშვიდისკენ მოუწოდა. თუ გსურთ ფეხბურთზე საუბარი, ვისაუბროთ, თუ არადა, პოლიტიკური რია-რიებით ნუ შემაწუხებთო.

— რუსეთის ნაკრების ყველა, 24 ფეხბურთელი აბსოლუტურად ჯანმრთელადაა და ხვალ თამაშის შანსი ასევე ყველას აქვს — თქვა ვალერი გაზაევმა.

— რა თქმა უნდა, რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა დაძაბულია, თუმც თამაშზე ეს გავლენას არ მოახდენს. ჩვენ ქვეყნებს შორის ბრძოლა მხოლოდ მოედანზე იქნება. მატჩის შემდეგ კი კვლავაც მეგობრები ვიქნებით. ფეხბურთელებზე ეს ატმოსფერო მოქმედებს, ისინი პრესას ეცნობიან, მაგრამ ვიმედოვნებ, მატჩის წინ ყველაფერი დაავიწყდებათ და მხოლოდ თამაშზე იფიქრებენ. სპორტის ყველა სახეობას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, მით უმეტეს, როცა საერთაშორისო შეხვედრაა. ჯობს, მოედანზე ვიომოთ, ვიდრე ერთმანეთს რაკეტები დავუმიზნოთ.

— ძალიან დიდ პატივს ვცემ საქართველოსა და ქართველებს. აქ ჩემი უახლოესი მეგობრები ცხოვრობენ. პროგნოზისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ვიტყვი, ჩვენც და ქართველებსაც გამარჯვება გვსურს.

— შესარჩევ ჯგუფში ჯერ მხოლოდ ერთი ტურია ჩატარებული და შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით რაიმე კომენტარის გაკეთება ნაადრევად მიმაჩნია. სამი ტურის შემდეგ კი ვისაუბროთ. თითოეული გუნდის შესაძლებლობები უფრო ცხადი გახდება, ფავორიტებიც გამოიკვეთებიან. ჯერჯერობით მარტივად გეტყვით, კარგია, რომ რუსეთმა ირლანდიას მოუგო, ცუდია, რომ საქართველომ შვეიცარიასთან წააგო.

— ჩვენ ნაკრების გაახალგაზრდავებაზე გავაკეთეთ აქცენტი და მოსტოვოი და კარპინიც ამიტომ დარჩნენ გუნდს მიღმა. თანაც მიმაჩნია, რომ კარპინზე არანაკლებ ფორმაში რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელები არიან. მოსტოვოის თაობაზე კი ადრეც ვთქვი, მას არ სურს ნაკრებში თამაში და არც არავინ დაადალებს. ახლა თავად რომ მოინდომოს, მე აღარ მჭირდება. ჩემს გუნდში მხოლოდ ისეთი ფეხბურთელების ადგილია, ვინც მოედანზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის.

— ვინ იქნება ძირითადი მეკარე, ამას ხვალ გადავწყვეტ. ნიგმატულინი და ოვჩინიკოვი ერთმანეთზე უკეთესად არიან მომზადებულნი.

— არაეთიკურია საქართველოს ნაკრების სისუსტესა თუ სიძლიერეზე მე ვისაუბრო. საქართველოს ჰყავს საკმაოდ კარგი მწვრთნელი, საშა ჩივაძე და მან ეს უკეთ იცის. ისე კი მასპინძელთაგან კალაძეს, კობიაშვილსა და შოთა არველაძეს გამოვარჩევდი. გუნდის ლიდერები არიან, ძლიერ კლუბებში სტაბილურად თამაშობენ.

— ერთი წამითაც არ დავეჭვებულვარ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მატჩი თბილისში ჩატარდებოდა. იმედი მაქვს, კარგი, ლამაზი ფეხბურთი იქნება, ისეთი, როგორსაც ქართველი ქომაგი აფასებს.

— რატომ უნდა მოვმზადებულიყავით ამ მატჩისთვის ვლადიკავკაზში, როცა მოსკოვშიც ჩინებული პირობები გვქონდა?

— სადღეისოდ რუსეთის ნაკრებში ის ფეხბურთელები გამოვიძახეთ, რომლებიც ფსიქოლოგიურად, ტექნიკურ-ტაქტიკურად და ფიზიკურად რუსეთში საუკეთესონი არიან.

— დარწმუნებული ვარ, რუსეთსა და საქართველოს შორის ყოველთვის მშვიდობა იქნება.

ვალერი გაზაევი ჩქარობდაო რომ ვთქვათ, არ იქნება მართალი, ი...მც მისთვის საკითხავი აღარავის არაფერი ჰქონდა და აბა, დარბაზს რატომღა შერჩებოდა ადგა და მოსასვენებლად გასწია.

**კობა ინასარიძე**
**კახა ზალაშვილი**
**ბადრი ძითილაძის ფოტოები**



ვლადიმირ ბესჩასტნიხი



რუსთა ნაკრების მწვრთნელი ვალერი გაზაევი და პრესატაშე ალექსეი ანდრონოვი პრესკონფერენციაზე

სვეტი

# ზარბაზნების საკითხი

თათარს რომ აღმოხდება „მაია წყნეთელში", ქართველებს არა ჰყავთ მეზარბაზნეებიო და მერე რომ მაინც აღმოგვაჩნდება მეზარბაზნეები, რაღაც ამის მსგავსის იმედი თუა დღევანდელ ფეხბურთთან დაკავშირებით.

რუსეთი ფართედელეგაციურად ჩამოვიდა — ფეტისოვიო, კარელინიო, სიკეთეო, ყვავილებიო, დრუჟბა ნაროდოვო და მთელი ამბავიო. აზრი, რა თქმა უნდა, გასაგებია. ამ კვირაში რუსი პოლიტიკოსები ამბობდნენ, ყველაზე კარგი შედეგი ფრე იქნებაო, ხალხებს დაამეგობრებსო. ხალხები კი იმდენად არიან გარეულნი ფეხბურთში, რამდენადაც თავიანთი ეროვნული გუნდების გამარჯვება სწადიათ. კარგმა აკადემიკოსმა კარაგანოვმა ისიც კი იხუმრა, რაც შეიძლება მეტი გოლი უნდა გავუტანოთ ერთმანეთს, 3:3 დავამთავროთო. ანუ, დავიცალოთ ამ გოლებითო.

ვინ დაიცალოს, რა დაიცალოს... პოლიტიკოსები ფეხბურთზე ისე ლაპარაკობენ, ასე იყოს, ისე იყოსო, მითამ ნინიას ბალია. ამდენი ხალხი ამდენ ხანს ველოდით ამ თამაშს და ამათ, რეცეპტები გამოწერეს, რა სჭირდება ხალხს.

საღად ფეხბურთელები მსჯელობენ, იციან ფეხბურთი რაც არის.

თორემ გაამერიკელებულ-გაკანადელებული ფეტისოვის ჩამოსვლა, საინტერესო ჟურნალისტისთვის იქნება და არა ხალხისთვის, რომელიც თამაშს ელის. ფეტისოვი, როცა ესესესერის კაპიტანი იყო, თქვენი არ ვიცი და, მე კანადელების მხარეს ვიყავი. მერე ფეტისოვმა ჯარის უფროსობასთან დიდი ბრძოლით გააღწია ოკეანის გაღმა და თავისი დიდი ჰოკეისტობა იქაც დაამტკიცა. თუმცა, რუსეთი ამით არ გამოცვლილა, ფეტისოვი გამოიცვალა. ჩვენს მიმართ რუსეთს რა შეცვლის?

ბოლო ათი დღეა, აშკარად ჩანს, რომ რუსეთ — საქართველოს ლამის ომის ფონზე, რუსის პოლიტიკოსები ცდილობენ ამ თამაშს კეთილშობილური და მშვიდობიანი იერი მიანიჭონ. ანუ ფეხბურთი მოეხმაროს პოლიტიკას დაძაბულობის შენელებაშიო. ბომბით იწევენ და მშვიდობის ჩამოგდება ბურთით სურთ. ჩვენები კი კრძალავენ სტადიონზე ბოთლის შეტანას, ერთჯერადი ჭიქებით შედითო. საქართველოში არ არის დიდი ერთჯერადი ჭიქები, რომ სტადიონზე შეიტანო და მთელი მატჩის მანძილზე მოიკლა წყურვილი.

რუსის პოლიტიკოსები ასე კი ლაპარაკობენ, მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია და გაზაევიც არ არის ის კაცი, რომ დადგეს და იფიქროს, ფრეზე ვთამაშობო. ჩვენთვის ხომ ეს მატჩი საერთოდაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და კიდევ მეტია. საუკუნო სიმწარეს, პოლიტიკურ ვითარებას და ასეთ რამეებს რომ შევეშვათ, საკუთრივ ჩვენს ნაკრებში არცთუ იოლი ვითარებაა და ბევრი რამ იქაც ბეწვზე ჰკიდია.

ასეთ დროს, საქართველოს ნაკრები გადის თამაშზე, რომელშიაც გულშემატკივარი სრულიად განსაკუთრებულად ითხოვს გამარჯვებას, რადგან... ყველამ იცის და აღარ ჩამოვთვლით.

ქართველებს არა ჰყავთ მეზარბაზნეებიო.

ეგება გვყავს, კაცო. იქ ხომ სიმწრით დაიძახებენ: ქართველების ზარბაზნები გუგუნებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო | ლოკომოტივში

# კაპიტანი შენ იქნები! იტყვის დღეს ჩივაძე

## შოთა არველაძეს გენერალური რეპეტიცია კოჭმა გააცდენინა

**გუშინ** საქართველოს ეროვნული ნაკრები დავით გვარამაძის გარეშე დარჩა. ნაშუადღევს დათოს მამა გარდაიცვალა, ამის გამო საქართველოს ნაკრების მეკარე ნაადრევად დაშორდა გუნდს. ალექსანდრე ჩივაძემ საჩქაროდ უხმო ტორპედოელ გრიგოლ ჭანტურიას, რომელმაც ნაკრების გუშინდელ ვარჯიშს ვერ ჩამოუსწრო...

ვერ გეტყვით, რას ფიქრობს ალექსანდრე ჩივაძე. მას ჰქონდა იმის საშუალება, რომ შეგირდები 8 საათზე ევარჯიშებინა, ანუ საქართველო — რუსეთის დღევანდელი მატჩის დაწყების დროს. ჩივაძეს ამ მხრივ პრობლემა არ ჰქონდა, რუსმა 7 საათზე ისურვა ვარჯიში, მაგრამ საქართველოს ნაკრების თავკაცმა ექვსის ნახევარზე ინება გენერალური რეპეტიციის მოწყობა. სწორედ ამ დროისთვის შეესხინენ „ლოტოს" ფორმიანები „ლოკომოტივის" მოედანს.

გვარამაძის არყოფნაში ჩივაძემ „დინამო 2"-ის მეკარე გიორგი თარხნიშვილი იახლა დილმის ბაზიდან. მისი ჩათვლით საქართველოს ნაკრებმა 17 ფეხბურთელით ივარჯიშა. ტრიბუნაზე იჯდა შოთა არველაძე, რომელსაც კოჭი აწუხებს, თუმცა ნაკრების ექიმის, დიმიტრი ზაალიშვილის თქმით, არველაძე დღეს მაინც შეძლებს თამაშს.

ნაკრების კარს გიორგი ლომაია დაიცავს, ძირითად შემადგენლობაში არ იქნება გოჩა ჯამარაული. ამის შესახებ თავად გოჩამ გვითხრა — პირველ ტაიმში არ ვითამაშებო. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ ჩივაძე ნაკრების ოფიციალურ მატჩში სასტარტო შემადგენლობაშივე მოუწყობს დებიუტს დავით მუჯირს, მაგრამ შტურმელი ამბობს — იმითაც ბედნიერი ვიქნები, მეორე ტაიმში 15 წუთით თამაშის საშუალება თუ მომეცემაო. მოკლედ, ბუნდოვანია, როგორ გააწყობს შუახაზს ჩივაძე.

კვლავაც გაურკვეველია, ვინ უკაპიტნებს ეროვნულ გუნდს. ფეხბურთელთა თქმით, კანდიდატი ხუთია. ჩივაძე კი არ ჩქარობს. როგორც ჩანს, ამას არც ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. კაპიტანის ვინაობა მატჩის დღეს გაირკვევა, გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღიაო, განაცხადა ნაკრების თავკაცმა.

ნაკრების სარუსეთო ბოლო ვარჯიშმა ერთ საათს გასტანა. ჩივაძემ დასაწყისისთვის ტრადიციული მოთელვა დაავალა გუნდს. ათიოდ წუთს ბურთთან წაამუშავა ფეხბურთელები და მერე ჩვიდმეტეული ორ გუნდად გაანაწილა და მოედნის ნახევარზე ორკარა გააჩალეს ქართველებმა.

ჩივაძემ ერთ გუნდში მოახვედრა დემეტრაძე, იაშვილი, ჯამარაული, გოგობერიშვილი, ცქიტიშვილი, დარასელია, ჯიქია და ყმაწვილი თარხნიშვილი. ეს რვა ფეხბურთელი მწვრთნელმა ცხრას დაუპირისპირა. ლომაია, დიდავა, რეხვიაშვილი, კალაძე, შაშიაშვილი, მუჯირი, ბურდული, ამისულაშვილი და კობიაშვილი თავიდანვე მედგარდ დაუხვდნენ კაცნაკლულ მეტოქეს, თუმც მალევე ჩამორჩნენ ანგარიშში. იაშვილმა ახლოდან გაუტანა ლომიას, მალე კი იგივე თხუთმეტიოდე მეტრიდანაც გააკეთა. დიდავამ ანგარიშში სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ ათწუთიანი ტაიმის ბოლოს დემეტრაძემ მესამე გოლი შეაგდო.

ვარჯიშისას ყველა ბოლომდე დაიხარჯა. განსაკუთრებით იაშვილი აქტიურობდა, ძალიან სწრაფად მოძრაობდა და ზუსტად ირჯებოდა. ბევრს კი ცდილობდა, მაგრამ დანარჩენთაგან გარიყული ჩანდა პოლონური „ამიცას" ნახევარმცველი მამია ჯიქია.

ვარჯიში საჯარიმოს ხაზიდან კარში დარტყმებით და მსუბუქი მოთელვით დასრულდა.

მოედნიდან გამოსვლისას პირველი, რაც კახა კალაძემ იკითხა, ახალგაზრდული ნაკრების ანგარიში იყო. 0:3-ის გაგებისას დანანებით გააქნია თავი, ჩვენ კი გვითხრა, ხვალ თავს დავდებთ, ბოლომდე ვიომებთო.

იმედიანად იყო ალექსანდრე რეხვიაშვილიც.

— გვარამაძის ტრაგედიამ ძალიან დაგვამწუხრა, მაგრამ ვეცდებით, მოედანზე თავდადებით შევუმსუბუქოთ დათოს გასაჭირი. ძალ-ღონეს არ დავიშურებთ მოგებისთვის, ქართველ ქომაგთა გასახარებლად — გვითხრა სკონტოელმა.

**ბაატა ძგანტალიანი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**













*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), გრიგოლ ჭანტურია (ტორპედო);
*მცველები:* კახა კალაძე (მილანი, იტალია), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), ალექსანდრე ამისულაშვილი (დინამო), გივი დიდავა (ტორპედო), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია);
*ნახევარმცველები:* ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლადო ბურდული (დინამო), ვიტალი დარასელია (დინამო), ალექსანდრე გოგობერიშვილი (დინამო), დავით მუჯირი (შტურმი, ავსტრია), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), მამია ჯიქია (ამიცა, პოლონეთი);
*თავდამსხმელები:* შოთა არველაძე (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი)

**სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ეროვნული ნაკრების მეკარეს დავით გვარამაძეს**
**მამის**
**გარდაცვალების გამო**

ერთი დღით ადრე რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისური საღამო რუსი წამყვანით

## სად არის ღირსება? სად დაჯდება შევარდნაძე?

### თეთრაძის რეცეპტი ჩივაძისთვის: მუშაობა და მოძრაობა



**პატრონი** არ ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ამჯერად მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ გუშინ რუსეთის ეროვნული გუნდის ვარჯიშზე ქართველი ჟურნალისტების გადაადგილებას ქართველი პოლიციელები კურირებდნენ, მაგრამ რუსეთის ნაკრების პრესატაშის თანხმობით.

ეგრეა, გუშინდელი საღამოს წამყვანი ნტვ-ფუტბოლის წამყვანი ალექსეი ანდრონოვი გახლდათ, რომელიც იმავდროულად ნაკრების პრესატაშეცაა ვალერი გაზაევის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ.

რომ არა ანდრონოვი, ქართველ ჟურნალისტებს ვარჯიშზე ან შეუშვებდნენ ან არა. უფრო ალბათ არა, რადგან ალექსეის გამოჩენამდე ამის პერსპექტივა არ ჩანდა.

ვარჯიშის შემდეგაც, გასახდელების გამყოფ ჰოლში შეღწევაც ანდრონოვის მითითებით მოხდა.

„ლოკომოტივის" სტადიონზე ჩამომდგარ ავტობუსს კი ქართველთაგან პირველი ზაზა ჯანაშია მიეჭრა. მან და რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ერთმანეთი შინაურულად, მეგობრულად მოიკითხეს — ჯანაშიას ხომ მთელს ვოლგა-ლენაზე კარგად იცნობენ. სხვა თუ არაფერი, ის ჯერაც ერთადერთი ქართველია, რუსეთის ნაკრებს გოლი რომ გაუტანა, თუმც ის ამბავი ოთხი წლის წინ იყო, ახლა კი ზაზა ნაკრებს მიღმაა.

რუსებმა ვარჯიში ჩვეულებრივად, მოთელვით დაიწყეს და ეს არც ვალერი გაზაევს უთაკილია. საერთოდ, რაიმე უცნაურს რუსთა ვარჯიშში ვერ შენიშნავდით. ერთი ეგ იყო, რომ „კვადრატი" მართლაც თავისებურად ჩაარაკრაკეს — დაწყვილდნენ ისე, რომ ცალი ხელი ერთმანეთს ჩაკიდეს და ასე წყვილწყვილად დასდევდნენ და აგორებდნენ ბურთს.

შუა ვარჯიშში „ლოკომოტივზე" განათებაც ჩართეს და ფოტორეპორტიორებსაც ეშველათ, ცხადია, მწვრთნელფეხბურთელებთან ერთად. თქმა არ უნდა, რუსთა ერთსაათიანი ოფლისდენა მატონიზირებელი ვარჯიში გახლდათ.

ნავარჯიშევს გაზაევის არჩეული ბიჭები მყისვე გასახდელისკენ გაემართნენ და მინდორზე მათთან გასაუბრების ნებაც არავინ დაგვრთო. ანდრონოვმა კი ბრძანა, შხაპმილებულებს ავტობუსამდე რომ მანძილი აქვთ გასავლელი, იქ ათქმევინებთ რამესო.

„მანძილზე" რუსებს რამდენიმე ქართველმა თინეიჯერმა ავტოგრაფი ჩამოართვეს და ავტობუსში ასულთ პატარა ოვაციაც უძღვნეს.

რუსი ჟურნალისტები წინასამატჩო აჟიოტაჟით რამდენად იყვნენ დაინტერესებულნი, ვერ გეტყვით, მაგრამ მათ ცნობისმოყვარეობაში ერთი საკითხი რატომღაც ერთობ აქტუალური გახლდათ — იქნებ გვითხრათ, სად დაჯდება შევარდნაძე?





ვლადიკავკაზიდან კი გუშინ **ომარ თეთრაძე** ჩამოვიდა, იქაური „ალანიას" ლიბერო და რუსეთის ნაკრების ყოფილი წევრი, ვინც პროფესიულ კარიერაში პირველი წარმატებული ნაბიჯი თბილისის „დინამოში" გადადგა, თუმც მერე რუსეთის მოქალაქე გახდა.

**— საგანგებოდ ამ მატჩისთვის ჩამოხვედით?**

— დიახ, ახალგაზრდულების თამაშზე გახლდით და, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრებების მატჩსაც დავესწრები.

**— ვის უქომაგებთ?**

— ჩემთვის არც რუსეთის ნაკრებია უცხო და არც საქართველოსი. მე აქ დავიბადე-გავიზარდე და გული შემტკივა საქართველოზე და მის ნაკრებზე. მას ძალიან ძნელი თამაში ელის. ვერ გეტყვით, რუსეთის ნაკრებს ან საქართველოს ვგულშემატკივრობ-მეთქი, კარგ ფეხბურთს ვუქომაგებ.

**— ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ობიექტურად რუსეთის ნაკრები ძლიერია საქართველოზე, მაგრამ ეს განსაკუთრებული მატჩია და საქართველოს მოგება შეუძლია...**

— ერთის მხრივ, რუსეთის ნაკრები მართლაც უფრო ძლიერია. თუ საქართველოს ნაკრებმა ისევე ითამაშა, როგორც შვეიცარიასთან, რა თქმა უნდა, წააგებს — მოძრაობისა და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულების გარეშე საქართველოს ეროვნულ გუნდს ძალიან გაუჭირდება. მაგრამ თუ ქართველები თავიანთ თამაშს ითამაშებენ, ასეთ შემთხვევაში უკვე რუსებს შეექმნებათ პრობლემები.

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა არის ქართველების „თავიანთი თამაში"?**

— ტექნიკა, მაგრამ ამას სწრაფი თამაში, სწრაფი აზროვნებაც უნდა დაუმატონ და მხოლოდ ასე თუ შეძლებენ რუსეთის დამარცხებას.



**— რუსეთის ნაკრების ძალა რაშია?**

— გაზაევის გუნდი უწინდელზე სწრაფ და გუნდურ ფეხბურთს თამაშობს და ვისურვებდი, რომ საქართველოს ნაკრებმაც ასევე ითამაშოს — გუნდური თამაშით რუსეთის ნაკრების დამარცხება შესაძლებელია.

**— რუსეთის ნაკრებში უძლიერეს რგოლად თქვენც ნახევარდაცვას მიიჩნევთ?**

— შუახაზი კარგია, მაგრამ რუსებს ჩინებული მცველები და თავდამსხმელებიც ჰყავს. გაზაევის გუნდი ერთნაირად კარგად უტევს და კარგად იცავს თავს.

**დავით თაბართქილაძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



*მეკარეები: რუსლან ნიგმატულინი (ცსკა), სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი);*
*მცველები: ვადიმ ევსეევი (ლოკომოტივი), დენის ევსიკოვი (ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი (ლოკომოტივი), ანდრეი სოლომატინი (ცსკა), გენადი ნიჟეგოროდოვი (ლოკომოტივი), ვიქტორ ონოპკო (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), დმიტრი სენიკოვი (ლოკომოტივი);*
*ნახევარმცველები: სერგეი სემაკი (ცსკა), ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), როლან გუსევი (ცსკა), იგორ იანოვსკი (ცსკა), დმიტრი ლოსკოვი (ლოკომოტივი), დმიტრი ხოხლოვი (სოსიედადი, ესპანეთი), იგორ სემშოვი (ტორპედო), ევგენი ალდონინი (როტორი), ანდრეი არშავინი (ზენიტი), დენის ლაკტიონოვი (სამსუნგი, კორეა);*
*თავდამსხმელები: ვლადიმირ ბესჩასტნიხი (სპარტაკი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), რუსლან პიმენოვი (ლოკომოტივი), დმიტრი კირიჩენკო (ცსკა), დენის პოპოვი (ცსკა)*

# ხუთ ლარად შესაღებული უმწეობა
# ვაი, ვის ხელშია მომავალი!

**მამუკა კვანტალიანი**

**ნამატჩევს** გახარებულმა რუსმა ახალგაზრდებმა „ეროვნულზე" შეკრებილი მაყურებლის ტაში შეირგეს. მერე ნახევარ მოედანს ტუნტულით შემოურბინეს და მინდვრის შუაგულში წამოკოტრიალდნენ. ცოტა ზედმეტი მოუვიდათ და მათ მიმართ კეთილად განწყობილი ქომაგის რეაქციაც რადიკალურად შეიცვალა. გაიყვანეთ! — წამოძახილში აგრესია გაერია. სტუმართა თავკაცმა ანდრეი ჩერნიშოვმა ტრიბუნების რისხვის ფონზე ვითარება სწორად შეაფასა და თავისიანები გასახდელის გზას გაუყენა.

ეს იყო ერთი ორწუთიანი მომენტი, როცა რუსები „ეროვნულზე" შედრკნენ. მანამდე კი ქართველი ახალგაზრდების შეშინებულ სახეებს და აკანკალებულ ფეხებს ვუცქერდით. ქომაგს ბრაზი ალრჩობდა, რადგან სრულ უპერსპექტივობას უცქერდა და არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

ისიც ძნელი ასატანია, როცა სტადიონზე მისული 2 ათასზე მეტი გულშემატკივარი საკუთარი გუნდის უილაჯობით გულზე სკდება, ამ დროს კი ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი დიდმოხელე ძალიან მხიარული გამომეტყველებით, გულარხეინი და გაცინებული თავის რუს კოლეგას და სტუმარს ეანგლება. ქართული ფეხბურთის თავკაცებს სასაცილოდ რომ არა აქვთ საქმე, ეს გუშინაც დამტკიცდა. სიცილი კი არა, ზოგიერთი აგურს უნდა ეძებდეს.

აბა, წაგებით ვინ არ აგებს. უბედურება ის არის, რომ გუშინ საქვეყნოდ შერცხვენილი ჩვენი გუნდი ღირებულს ვერასდროს ვერაფერს შექმნის. აშკარად დაგვიანებულია ახალგაზრდულ გუნდში საკადრო ცვლილებები, მაგრამ მწვრთნელ-ფეხბურთელთა დათხოვნითაც რომ არაფერი შეიცვლება?! საშველი მანამ არ იქნება, სანამ ფედერაცია ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებში ერთი საფეხბურთო მსოფლმხედველობის კვალიფიციურ უცხოელ სპეციალისტებს არ მოიწვევს. სხვაგვარად მუდამ ასეთ დღეში იქნება ჩვენი ფეხბურთი, ერთი, მაქსიმუმ ორი წარმატებული, შემთხვევით მოგებული თამაშის ამარა.

თითქმის ერთი კვირა ემზადებოდა რუს თანატოლთა დასახვედრად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ამ ხნის მანძილზე ერთი, რიგითი სავარჯიშო კომპლექსიც არ ჩაუტარებიათ შეუმცდარად. მაშინ, როცა ნამგზავრმა სტუმარმა მოედანზე პირველივე გასვლის შემდეგ თვალნათლივ დაგვანახა თავისი ძალა.

კოპალეიშვილს თავიდანვე გამოეცალა ხელიდან ერთ-ერთი მთავარი იმედი, ასათიანი. გუშინ დილით ნაკრების მეორე ხერხემალი გიორგი დეკანოსიძე თანაგუნდელებს მამის დაღუპვის გამო დააკლდა. ესენი რომ ყოფილიყვნენ, იქნებ ჩვენებს შეტევაში ერთხელ მაინც ეყოჩაღათ, მაგრამ, მერწმუნეთ, შედეგი იგივე იქნებოდა. ასათიანი ფორმაში ნამდვილად არ არის, დეკანოსიძეს კი სათამაშო პრაქტიკის უქონლობა გააუფერულებდა.

ახალგაზრდულის თავკაცებს ზურაბ ხიზანიშვილისა ეიმედებოდათ, ჩივაძე „ხიზანას" დაგვითმობს და გაგვძლიერდებითო. წელიწადზე მეტია, ზურაბს არ უთამაშია. უმძიმესი ტრავმის შემდეგ მთელი დატვირთვით ვარჯიში ახლახან განაახლა და ნაკრებში გადამწყვეტ ლიდერის ფუნქციას რომ ვერ იტვირთებდა, იოლი გამოსაცნობი იყო. ხიზანიშვილი მეორე ტაიმში ნერვებს აჰყვა, ორ წუთში ორი გაფრთხილება აიკიდა და სულ მთლად მოაფამფალა ისედაც სულის მლაფავი კოპალეიშვილის ნაკრები.

კაპიტანი საჯაია უთამაშებელი, ცენტრალური მცველი ხიზანეიშვილი, განაპირა ნახევარმცველი კანდელაკი, ორივე „დინამოს" სათადარიგო სკამიდან, ამის შემდეგ რა ოპტიმისტი უნდა იყო, კიდევ არწაგებაზე და არშერცხვენაზე ილაპარაკო.

განა მხოლოდ ზემოჩამოთვლილთა ბრალია გუშინდელი დამარცხება. დანარჩენებიც სუსტები იყვნენ. სად არის ადამიას სისწრაფე, მოდებაძის დრიბლინგი და ახალაიას ლაღი თამაში. ეს უკანასკნელი კი სჯობდა სხვებს, მაგრამ მოედანზე ჩვენი შემტევები გარიყულები მოჩანდნენ. გაუგებარი დარჩა, რატომ ირჩიეს მწვრთნელებმა მხოლოდ მცველებით და თავდამსხმელებით თამაში. ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს კოპალეიშვილმა ნახევარდაცვაზე საერთოდ უარი თქვა. მასპინძელთა რიგებში თითქოს ოთხი შუახაზელი იყო, ნომინალური მცველი, შეტევების ჩამშლელი ფეხბურთელი წინ სარგებელს რომ ვერ მოიტანს, ცხადია.

„ვეცდებით, მეტოქე სისწრაფისა და ტექნიკის ხარჯზე დავჩაგროთ" — ეს კოპალეიშვილის წინასამატჩო სიტყვებია. ჩვენ „ეროვნულზე" სისწრაფეც ვნახეთ და ტექნიკის დემონსტრირებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ რუსების შესრულებით.

მე-18 წუთზე სტუმართა ყველაზე გამორჩეულმა ფეხბურთელმა ანტონ ბობერმა ბურთი თავისი ნახევრიდან წამოიღო, მარჯვენა ფლანგზე სიჩქარეაკრეფილმა ცენტრისკენ შეიწია, გზად ჩაძინებულ ქართველ ფეხბურთელებს იოლად გაუსწორდა და პავლიუჩენკოს უზადო პასი მიაწოდა. საგოლე პოზიციაზე დარჩენილმა რუსმა მამალაძეს შორეულ კუთხეში ოსტატურად მოუქრა ბურთი და კარის ბადეში გაახვია.

თოთხმეტ წუთში ბობერმა კიდევ ერთხელ ჩამოუარა მორყეულ ქართულ დაცვას, თითქმის პირით ხაზამდე იარა და მახვილი კუთხიდან ისეთი სიძლიერით ამოსცხო, კარის ბადე რომ არა, ბურთი სტადიონს გადააფრინდებოდა.

სტუმართა მესამე გოლიც ლოგიკური, ჩვენი დაცვისა და მეკარის დაბნეულობის შედეგი იყო. მამალაძემ მეტოქის შორიდან დარტყმული ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა, კარის წინ ატეხილ ზედახორაში ხიზანეიშვილმა მეკარეს უპასა და ზურამაც ბურთი ხელში აიღო. მსაჯმა, რა თქმა უნდა, თავისუფალი დანიშნა, გოგნიევმა კი ცხრიანში ზუსტად დაარტყა.

რუსებმა თამაშის შემდეგ „ეროვნულზე" მყოფებს გვაგრძნობინეს, მეტიც შეგვეძლო და დაგინდეთო. სწორედ ეს იყო ძნელად ასატანი. ამის შემდეგ მოდი და, ახსენე ქართველთა ის უსუსური, ვითომ მომენტები, სტუმრებს ნერვებიც რომ ვერ შეუტოკა.

ჩვენმა ახალგაზრდულმა, მაყურებლის სტვენა და გულისწყრომა სამართლიანად დაიმსახურა.

თამაშამდე ანდრეი ჩერნიშოვი ამბობდა, საქართველოში ის ფეხბურთელები ჩამოვიყვანე, ვინც თავის გუნდში სათადარიგოა, სეზონის დასასრულს მათ მეტი ძალა და ენერგია შერჩათო. ვინ დაიჯერებს, რომ ის ბიჭები სამარქაფოები არიან, ალბათ, მხოლოდ ჩვენი ნაკრების მწვრთნელები, რომლებიც კომპიუტერის ეპოქაში ჯერ არ შესულან, თორემ რუსებზე მეტი ინფორმაცია ექნებოდათ.

ბოლოს კი ბილეთის ფასზეც ვთქვათ. გუშინდელი საქართველო — რუსეთი ფეხბურთის ფედერაციამ ხუთ ლარად შეაფასა. ალბათ, ამიტომაც იყვნენ ქართველები მეჩხერად ტრიბუნებზე. გუშინდელი საშინელება ხუთი თეთრიც არ ღირდა და ფედერაციაც თავისი გადაწყვეტილების გამართლებას სულ ტყუილად ეცდება.



ლაშა სალუქვაძეს (№4) სპარტაკ გოგნიევთან გამკლავება გაუჭირდა



ალექსანდრ ბელოზეროვმა რამაზ სვანაძე ბურთთან არ მიუშვა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი. [illegible]
თბილისი. 11 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 2 500 [illegible]

## საქართველო 0:3 რუსეთი

0:1 პავლიუჩენკო (18), 0:2 ბობერი (32), 0:3 გოგნიევი (65)




შეცვლა: სვანაძე – 18. ახალკაცი (46), ინწკირველი – 13. ი. შენგელია (51), პავლიუჩენკო – 20. ლებედენკო (57), კუსოვი – 10. სმირნოვი (68), ადამია – 15. გოცირიძე (69), კუდრიაშოვი – 16. კოლოდინი (79)

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (57), ხიზანიშვილი (59)

გაძევება: ხიზანიშვილი (59)

მსაჯები: დრაგო კოში; ივან იუნიჩი, ზორან ნოვარუჩი; მილან მიტროვიჩი (ყველა სლოვენია)

უეფას დელეგატი: მალკოლმ დოჰერტი (ჩრდ. ირლანდია)

ჯარიმა: 16-12; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 7-4; კარში დარტყმა: 2-6; თამაშგარე: 0-2



რუსეთთან შერცხვენილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცები

## პრესკონფერენცია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრას თავი აარიდა და „მგლის ხახაში" ჩააგდო თანაშემწე სერგო კუტივაძე.

ვიდრე კუტივაძე მოვიდოდა, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ახალგაზრდა მწვრთნელმა ***ანდრეი ჩერნიშოვმა*** ეს თქვა: ვიდეოფირზე რამდენჯერმე ვნახეთ ქართველების მატჩი თურქებთან და შვეიცარიელებთან. მეტოქესაც სრული სერიოზულობით მივუდექით. კარგად მოვემზადეთ და შედეგიც სახეზეა, თუმცა იოლი მატჩი არ იყო. შეგირდებით ძალიან კმაყოფილი ვარ, თამაშის დასაწყისში მეტოქეს სივრცეები განგებ დავუთმეთ, რათა კონტრშეტევებზე აგვეწყო თამაში, პირველი გოლიც ასე გავიტანეთ. გამართული ფეხბურთი ვითამაშეთ, ქართველებს კი ბრძოლისუნარიანობა ვერ შევამჩნიე. ანტონ ბობერს გამოვარჩევ, იგი საუკეთესო გახლდათ მოედანზე. ვფიქრობ, ჩემს გუნდში ბევრია ისეთი, რომლებიც სულ მალე ეროვნულ ნაკრებში იტყვიან თავის სიტყვას, ამის თქმის საბაბს ბიჭების პროფესიონალიზმი და საქმისადმი დამოკიდებულება მაძლევს. ქართველთა მეშვიდე ნომრის (ზურაბ ხიზანიშვილი) მოედნიდან გაძევებამაც ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. ვისარგებლებ შემთხვევით და ქართველებს დიდ მადლობას მოვახსენებ ჩინებული დახვედრისთვის, ქართველი ქომაგის ფეხბურთისადმი დამოკიდებულება არ შეცვლილა, გულშემატკივარი მშვენივრად ერკვევა საფეხბურთო ნიუანსებში".

***სერგო კუტივაძემ*** ერთი ამოისუნთქა და დაიწყო: „ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია, რეალობას თვალებში ვუყურებ და ვაცხადებ, რუსეთის ნაკრებმა ყველა კომპონენტში დაგვჩაგრა.

გუნდში გამოვიძახეთ მხოლოდ ისინი, ვინც ძირითადის ბირთვს წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ისინი თავიანთი კლუბების ძირითადში იშვიათად თუ ხვდებიან. მომზადების დონე არადამაკმაყოფილებელია, არ ვართ სწრაფები, ფიზიკაში მოვიკოჭლებთ".

**გიორგი გუგავაძე**

**სარბიელელები თანაგუგრძნობთ ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველს გიორგი დეკანოსიძეს**
**მამის**
**გარდაცვალების გამო**



გუშინ „ეროვნულზე", ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის დასრულების მერე ერთმანეთს ქართველი და რუსი ვეტერანები გაეჯიბრნენ. მატჩი ბასა ღოღობერიძის 80 წლისთავს მიეძღვნა. მეგობრული შეხვედრა მეგობრულადვე – 1:1 დასრულდა

# არ იგუნდაოთ ბოთლებით

## უეფამ დინამო ცარიელი ტრიბუნით დასაჯა

3 ოქტომბერს „ეროვნულზე", უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩში ჩვენებურმა „დინამომ" ჩეხურ „ლიბერეცთან" 0:1 წააგო და მომავალი ევროგათამაშების იმედზეა.

საქართველოს ათგზის ჩემპიონი ევროპაში კი მოსინჯავს ძალას, მაგრამ პირველი ოფიციალური საშინაო მატჩის ჩატარება ცარიელი ტრიბუნების შემყურეს მოუწევს. ასეთია უეფას სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი სხდომის საბოლოო ვერდიქტი.



3 ოქტომბერს ქართველი პოლიციელებიც დაზარალდნენ

3 ოქტომბრის საღამოს „ეროვნულზე" მისულ ქომაგს რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი სარბენ ბილიკზე და მოედანზე გადაყარა. ტრიბუნიდან ნასროლმა შუშის ბოთლებმა რამდენიმე პოლიციელიც დააზიანა და კიდევ კარგი, იმ პრიმიტიულმა „ბომბდამშენებმა" მეტოქის ფეხბურთელები არ დააზიანა, თორემ ცარიელი ტრიბუნები მერე სანატრელი იქნებოდა.

ქართული სადისციპლინო კომიტეტი მსგავსი საკითხის გარჩევისას იმ სტადიონს, სადაც მოედანზე ქვები, შუშის ბოთლები და ხილ-ბოსტნეული ცვივა, ჩვეულებისამებრ პირობითი დისკვალიფიკაციით და სულ მცირე 200 ლარიანი ჯარიმით სჯის.

ფულად სასჯელს „დინამოც" მოელოდა, მაგრამ ეტყობა ბალტიისპირელმა მსაჯებმა და მატჩის თურქმა ინსპექტორმა ჩვენებურები დაინდეს და უეფაში წარდგენილ პატაკში ყველაფერი დეტალურად არ აღწერეს.

„დინამო" ევროსარბიელზე ერთ წრეს ალბათ უქომაგოდაც გაივლის, მერე კი გულშემატკივარი ჭკუას ისწავლის და იმედია შუშის ბოთლებით პოლიციელებსაც არ ეგუნდავებიან, თორემ უეფა ხშირად ძალიან მკაცრადაც სჯის.

**მამუკა ძვანტალიანი**

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XII ტური**

კილი 1:1 კიოლნი (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა. XIV ტური**

ზაარბრიუკენი 3:0 კიკერსი
პფულენდორფი 3:2 ჰოფენჰაიმი

### საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1 ეტაპი**

ამიენი 0:1დ.დ. (0:0) მენიონი
ბოვე 2:1დ.დ. (1:1) კაენი
გრენობლი 2:0 კანი
ისტრი 2:1დ.დ. (0:0) ლორიანი
ლე მანი 3:0 ვალანსი
მეცი 0:0 (პენ. 4:2) ნიორი
ნიმი 2:0 ანჟერი
სენტ ეტიენი 3:2 ტულუზი
ვასკიალი 3:1 ლავალი
კრეტეი 1:0 კლერმონი
მარტიგი 3:2დ.დ. (2:2) რეიმსი
ნანსი — შატორუ გადაიდო

### პოლონეთი

**თასის 1/8 ფინალი**

პლოცკი 1:0 ოსტროვეცი

### ჰოლანდია

**თასის I ეტაპი**

ვენლო 1:0 ეინდჰოვენი

### ამხანაგური მატჩი

ბოსნია 1:1 გერმანია

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

UNDER-21 Championship

**შესარჩევი ეტაპი**

**მეორე ტური. 11 ოქტომბერი**

**I ჯგუფი**

საფრანგეთი 1:0 სლოვენია
მალტა 0:1 ისრაელი

**II ჯგუფი**

დანია 9:0 ლუქსემბურგი
რუმინეთი 0:1 ნორვეგია

**III ჯგუფი**

ბელარუსი 0:1 ავსტრია
მოლდოვა — ჩეხეთი
დღეს გაიმართება

**IV ჯგუფი**

შვედეთი 1:0 უნგრეთი
პოლონეთი 3:0 ლატვია

**V ჯგუფი**

ისლანდია 0:2 შოტლანდია

**VI ჯგუფი**

ესპანეთი 1:0 ჩრდ. ირლანდია
უკრაინა 1:1 საბერძნეთი

**VII ჯგუფი**

სლოვაკეთი 0:4 ინგლისი
მაკედონია 0:4 თურქეთი

**VIII ჯგუფი**

ბულგარეთი 1:3 ხორვატია

**IX ჯგუფი**

იტალია 4:1 იუგოსლავია
ფინეთი 3:0 აზერბაიჯანი

**X ჯგუფი**

ალბანეთი 0:0 შვეიცარია

**ამხანაგური მატჩი**

ბოსნია 5:1 გერმანია



ბოსნია — გერმანია 1:1. ოლივერ კანს ელვირ ბალიჩმა გაუტანა


გამოვიდა სარბიელის დამატება

კროკო

პროფესიონალთათვის

ორშაბათობით ყველა შედეგი,
ხუთშაბათობით კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალბანეთი იტალიურად ითამაშებს შვეიცარია, როგორც ჩვენთან

### ჩვენი ჯგუფი

#### ალბანეთი — შვეიცარია

**ალბანელთა** იტალიელმა მწვრთნელმა ჯუზეპე დოსენამ, რომელიც შეგახსენებთ, 1982 წელს „სკუადრა ატურას" მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების წევრი კი იყო, თუმც მოედანზე ერთხელაც არ გასულა, გასაოცარი რამ გააკეთა — საშვეიცარიოდ გუნდს მიღმა ბერძნული „პანათინაიკოსის" თავდამსხმელი ბლედარ კოლა დატოვა. მოვლენებს დავასწროთ და დავძინოთ, რომ დოსენამ კოლა არც სარუსეთოდ ინდომა. ალბანეთი რუსეთს ოთხშაბათს შეხვდება. სამაგიეროდ, ალბანელებს დღეს იტალიური „ჩეზანას" ფლორიან მირტაი ეყოლებათ.

შვეიცარიის ნაკრებზე კი, აბა, რა გითხრათ, საქართველოსთან მის თამაშს ნახავდით და „ბაზელის" ჩემპიონთა ლიგაში არცთუ ურიგო გამოსვლის ამბავიც მოგეხსენებათ. „ბაზელი" იმიტომ ვახსენეთ, რომ ეროვნულ გუნდში ამ გუნდის ბლომად ფეხბურთელები არიან.

შვეიცარიელებს კვლავაც არ ეყოლებათ ნახევარმცველი სებასტიან ფუნი, სხვა მხრივ კი კობი კუნი სრულ მზადყოფნაშია და გამარჯვების არცთუ უსაფუძვლო იმედი აქვს.



ჯუზეპე დოსენა

**ალბანეთი:** სტრაკოშა, ჯუპამა, ჩიპი, მუში, მუკა, ლალა, ჰასი, მურატი, ფ. ვატა, დურო, ტარე

**შვეიცარია:** შტილი, მანინი, მიულერი, მ. იაკინი, ბ. ჰაასი, ვიკა, ფოგელი, კაბანასი, ჰ. იაკინი, ფრეი, შაპუიზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

*16 ოქტომბერს:*

*ირლანდია — შვეიცარია*

*რუსეთი — ალბანეთი*

## როცა პარკენზე დაუკრავს ჰიმნი

### II ჯგუფი

#### დანია — ლუქსემბურგი

**ამაზე უარესი** რა უნდა დაგვმართოდა, შესარჩევ ციკლს დანიასთან და რუმინეთთან მატჩებით ვიწყებთო — დაიჩივლა ლუქსემბურგელთა თავკაცმა ალან სიმონსენმა. ქომაგს გაეცინება, ლუქსემბურგს საქართველოს ნაკრებიც კი ამარცხებს და რა მნიშვნელობა აქვს მეტოქე ვინ ეყოლებაო. სიმონსენი კი ასე განსჯის: „ახალი გუნდი უნდა შევქმნა. ამის ერთ-ერთი პირობა ამაღლებული განწყობაა და რა განწყობა უნდა ჰქონდეთ ფეხბურთელებს, რომლებიც ტურნირს მარცხით დაიწყებენ? არადა, კოპენჰაგენში, „პარკენზე", წარმატების იმედი ფაქტობრივად არ გვაქვს. პირველი მატჩი ბოსნიასთან რომ გვქონოდა, ეგებ რამესთვის მიგვეღწია."

ბედის ირონიით, სიმონსენს პირველი მატჩი იმ სტადიონზე ელის, რომლის გმირიც თავის დროზე თავად იყო. დიდ დანიელს 55-ჯერ მოურგია ეროვნული გუნდის მაისური. „მიონხენგლადბახისა" და „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი 1977 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

„ყოველთვის მაინტერესებდა, თუ რას გრძნობდნენ ჩვენი მეტოქეები, როცა „პარკენზე" დანიის ჰიმნს ვაგუგუნებდით. რას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ეს მეტოქე თავად ვიქნებოდი" — დასძინა სიმონსენმა.

დანიის ნაკრებზე, რომელმაც შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში ნორვეგიასთან ფრედ, 2:2 ითამაშა, სიმონსენმა თქვა: „მორტენ ოლსენი ჩემი ძველი თანაგუნდელი და მეგობარია. მიხარია, რომ მან ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი შექმნა. მორტენი ერთგული დარჩა შეტევითი ფეხბურთისა, რომელსაც ჩვენ ყოველთვის მივდევდით. საამმატჩოდ მან მარტინ ლაურსენი არ გამოიძახა — დანიისა და ლუქსემბურგის ნაკრებებს შორის იმხელა სხვაობაა, საჭიროდ არ ჩათვალა და მართალიცაა. დანია და რუმინეთი ჩვენი ჯგუფის ფავორიტები არიან."

**დანია:** სორენსენი, ბოგელუნდი, ჰენრიქსენი, პოულსენი, ნ. იენსენი, გრავესენი, კ. იენსენი, გრონკიერი, რომედალი, ტომასონი, სანდი

#### რუმინეთი — ნორვეგია

**რუმინეთის ნაკრები**, რომელმაც საევროპოჩემპიონატო კამპანია ბოსნიის ძლევით დაიწყო, ბუქარესტში მასპინძლობს ნორვეგიას. მტკიცება არ უნდა, ორივე გუნდისთვის ეს ფრიად მნიშვნელოვანი მატჩია, რაკილა მსოფლიოს პირველობაზე ვერმოხვედრით შელახული სახელის აღდგენას ცდილობენ.



ალან სიმონსენი

„თუ ნორვეგია ვერ დავამარცხეთ, ბოსნიასთან გამარჯვებას ფასი არ ექნება — თქვა რუმინელთა გენერალმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ — ხოლო თუ გავიმარჯვეთ, ჩათვალეთ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი ერთი-ორად გაგვეზარდა."

**რუმინეთი:** სტელია, რადოი, პოპესკუ, კოჟუ, კონტრა, კოდრეა, დ. მუნტეანუ, რაცუ, მუტუ, განეა, პანჩუ

**ნორვეგია:** მირე, ბასმა, ბერგი, ლუნდეკვამი, ბერგდოლმო, სოლსკიერი, ბაკე, ანდრესენი, ივერსენი, რიისე, კარეუ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლუქსემბურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

*16 ოქტომბერს:*

*ნორვეგია — ბოსნია*

*ლუქსემბურგი — რუმინეთი*

## იყო ნიქოზია, წინ კაკალია

### I ჯგუფი

#### საფრანგეთი — სლოვენია

**საფრანგეთის ნაკრების** ახალი მწვრთნელი, ჟაკ სანტინი უახლოეს დღეებში ორ გამარჯვებას ელის — ევროპის ჩემპიონები ჯერ სლოვენიას, შემდეგ კი მალტას ეთამაშებიან. შეგახსენებთ, რომ ევრო 2004-ის შესარჩევი ეტაპის პირველ ტურში სანტინის რჩეულმა, უპირატესად, აფრიკულ ფესვებზე აღმოცენებულმა ფრანგებმა, კვიპროსში 2:1 გაიმარჯვეს.

„როდესაც მწვრთნელად დამნიშნეს, მკაფიოდ განვაცხადე, რომ პირველი სამი შეხვედრიდან ცხრა ქულას ველი. ეს ცხრა ქულა მომავალში ცხოვრებას გამიიოლებს" — თქვა სანტინიმ, რომელიც სამი მატჩიდან სამი გამარჯვებით, ქომაგებს ახალი ენთუზიაზმითაც ავსებს, თორემ, მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ საფრანგეთში ერთგვარი იმედგაცრუება შეინიშნება.

სანტინიმ განაგრძო: „ბიჭებს პირადად ველაპარაკე, რათა გამეგო, რას ფიქრობენ კვიპროსში მოგებული მატჩის თაობაზე. მე ხომ დავინახე, რომ ისინი კლუბებში გაცილებით უკეთ თამაშობენ. რაც შეეხება ზიდანს, რომელიც იმ დღეს არცთუ კარგი თამაშის გამო ძლიერ აკრიტიკეს, ვფიქრობ, ასეთი გაწურვის ღირსი არ არის. ამის გასაგებად მთელი სურათის ცოდნაა საჭირო. ბოლოს და ბოლოს, ნიქოზიაში სამი ქულის მოსაპოვებლად ვიყავით ჩასულნი და ეს ამოცანა წარმატებით გადავჭერით. დიახ, გეთანხმებით, რომ კვიპროსზე დიდებული შეხვედრა ვერ გავმართეთ, მაგრამ მწამს, დიდებული მატჩები წინ გველის."

ახლა კი გავიხსენოთ საფრანგეთისა და სლოვენიის ორი წლის წინანდელი ამხანაგური შეხვედრა, რომელიც ფრანგებმა 3:2 მოიგეს. მაშინ მესამე ანუ გამარჯვების გოლი დავიდ ტრეზეგემ მსაჯის წამატებულ წუთებზე გაიტანა.



ზინედინ ზიდანი უზაპოვიჩო სლოვენიას გაუჭირებს

„შესარჩევ ჯგუფში სლოვენია ჩვენი მთავარი მეტოქეა და ამიტომ მის დასამარცხებლად რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება დაგვჭირდება" — ამბობს ზიდანი.

„სლოვენიის გუნდი ბოლო სამი წლის განმავლობაში არ შეცვლილა — აზუსტებს სანტინი — ფეხბურთელები ძალიან კარგად არიან შეთამაშებულნი და კოლექტიურად ძლიერები გახლავან. მგონი, ცხადზე უცხადესია, რომ მათ წინააღმდეგ ის თამაში, რომელიც ნიქოზიაში ვაჩვენეთ, საკმარისი არ იქნება. ჩვენმა საუკეთესო ფეხბურთელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ გამარჯვების ძალა შესწევთ. საქმე ის გახლავთ, რომ ოქტომბრის შემდეგ, მარტამდე, არავის ვხვდებით, ამიტომ ამ დღეებში ყურადღების უკიდურესი მოკრება გვმართებს."

ისევ ზიდანი: „ეს ორი მატჩი გადამწყვეტია. ორი გამარჯვება თვითრწმენას დაგვიბრუნებს და მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. პირადადაც კარგად ვგრძნობ თავს."

სავარაუდოდ სანტინი 4-2-3-1 სქემას ამჯობინებს. შეგახსენებთ, ეს სქემა ძალიან უყვარდა მის წინამორბედს, როჟე ლემერს. დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველები პატრიკ ვიეირა და კლოდ მაკელელე იქნებიან, ხოლო ზიდანს პარტნიორობას „ლიონის" წევრი ერიკ კარიერი გაუწევს. მათ გასწვრივ, ფრთაზე, სილვენ ვილტორდს ვიხილავთ, ხოლო წინ ტიერი ანრი იქნება.

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ტურამი, დესაი, მექსეში, სილვესტრი, ვიეირა, მაკელელე, მარლე, ზიდანი, ანრი, ვილტორდი

**სლოვენია:** ბოტონიჩი, რ. ჟედიკი, პლაქნიკი, კარიჩი, ბერმშნიაკი, პოინიკი, ლუნდერი, ზინკო, ზილავეცი, ზ. ჟედიკი, ლავრიჩი

#### მალტა — ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ისრაელი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

*16 ოქტომბერს:*

*მალტა — საფრანგეთი*

### III ჯგუფი

#### მოლდოვა — ჩეხეთი

**ჩეხებმა**, მუნდიალს მიღმა რომ დარჩნენ, ფიქრი დაიწყეს და ფიქრმა გუნდის გადახალისებამდე მიიყვანა. გუნდში 21-წლამდელთა ნაკრების ექვსი ფეხბურთელი გადაიყვანეს. ეს ის ბიჭები არიან, ამ ზაფხულს ევროპის ჩემპიონები რომ გახდნენ. სექტემბერში ჩეხებმა იუგოსლავიას ამხანაგურად 5:0 სძლიეს და ყველაფერი ეს ჯამში მათ ფრიად იმედიანად განაწყობთ.

ეროვნულ გუნდში მოხვედრილი ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები არიან: სლავიელი შტეფან ვახოუშეკი, „სტად რენის" მეკარე პეტერ ჩეხი, სპარტელები ზდენეკ გრიგერა და ტომაშ ჰუბშმანი, რეჯინელი მარტინ იარბანეკი და ლივერპულელი მილან ბაროში. თუმცა ბაროში დღეს თამაშს ვერ შეძლებს, რაკი დისკვალიფიცირებულია, ისევე, როგორც იუვენტუსელი პაველ ნედვედი. ბაროშის თანაგუნდელი ვლადიმირ შმიცერი კი ტრავმას იშუშებს.

ნაკრებში მიიწვიეს „სლავიას" და ახალგაზრდული გუნდის თავკაცი მიროსლავ ბარანეკიც, რომელიც მომდევნო ხუთი წლის მანძილზე ასისტენტობას გაუწევს კარელ ბრუკნერს.

„ეროვნულ გუნდში ის თაობა მოვიდა, რომელსაც ექვსი წლის წინანდელი მიღწევის გამეორება შეუძლია — თქვა ბარანეკმა. ექვსი წლის წინ კი, მოგეხსენებათ, ჩეხები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ.

ჩეხთა მასპინძელმა მოლდოველებმა შესარჩევი ციკლი ავსტრიასთან მარცხით დაიწყეს. იმ დამარცხებას შეეწირნენ კიდეც შინაკელი ვიქტორ ბერკო და ზიმბრუელი ევგენი ბოიჩენკო, რომელთა სამსახური მწვრთნელმა ვიქტორ პასულკომ აღარ ინდომა.



პეტერ ჩეხი

თამაშის წინ პასულკომ თავი დაიზღვია, ჩვენსას კი ვეცდებით, მაგრამ ჩეხეთის ნაკრები ჩვენსაზე ძლიერი რომ არის, თქმაც არ უნდაო.

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, ბოლფი, უიფალუში, გრიგერა, პობორსკი, გალაშეკი, როსიცკი, იანკულოვსკი, სტაინერი, კოლერი

## ვითარცა ლომი

#### ბელარუსი — ავსტრია

**დანებება** არ მჩვევია და ჩემს ფეხბურთელებსაც მუდამ ამას ჩავჩიჩინებ — თქვა ავსტრიელთა მწვრთნელმა ჰანს კრანკლმა — მით უფრო, რომ ჩვენი მეტოქე სულაც არ არის უსაშველოდ ძლიერიო. კრანკლისავე თქმით, ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც ლომივით იბრძოლებს — ანუ ავსტრიის ნაკრებიო.

სტუმრებს არ ეყოლებათ ნაკრებიდან წასული ივიცა ვასტიჩი. ბელორუსებს თავის მხრივ დაშავებული გამთამაშებელი ვალენტინ ბელკევიჩი და დისკვალიფიცირებული მაქსიმ რომაშჩენკო დააკლდებიან.

**ავსტრია:** მანინგერი, ბაური, ჩერნი, ჰიურცი, აუფჰაუზერი, ჰერცოგი, ვაგნერი, ბ. კოვაჩევიჩი, ბრუნმაიერი, ლინცი, ვალნერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. დღეს

# უძილო ღამის რაინდები



REUTERS

შვედთა იმედი ფრედერიკ ლიუნგბერგია

### IV ჯგუფი

**პოლონეთი — ლატვია**

**პოლონელთა** მწვრთნელს, ზბიგნევ ბონეკს მეორე გამოცდის ჩაბარება მშობლიურ ვარშავაში, ლატვიის წინაალმდეგ მოუწევს. პირველი გამოცდა პოლონეთმა სან მარინოში ჩააბარა. თუმცა იმ მატჩში ბონეკს საკმაოდ სუსტი გამომცდელი ჰყავდა, რის ვაივაგლახით გაიმარჯვა. დღეს საქმე უფრო რთულადაა, ლატვიამ ხომ შინ შვედეთს გაუგორა ფრე და, ალბათ, არც პოლონეთიდან ქულის ან ქულების წაღებაზე იტყვის უარს.

„მარტო მარიან პახარსი არ წარმოადგენს საშიშროებას. ლატვიელებს კარგი ფეხბურთელები სხვებიც ჰყავთ“ — ფრთხილობდა ჟურნალისტებთან ბონეკი.

სხვათა შორის, მისი დანიშვნისას პოლონეთში მავანთ უთქვამთ, უძილო და ნერვიული ღამეები ამიერიდან გარანტირებული გვაქვსო. ჯერჯერობით პოლონელთა ეროვნული გუნდი ამის თქმის საბაბს ნამდვილად იძლევა. სან მარინოში ხომ პირველი გოლის გატანას სლავებმა 75 წუთი მოანდომეს.

— ლატვია კარგი გუნდია, მაგრამ ჩვენ უნდა მოვიგოთ იმიტომ, რომ უკეთესები ვართ — განაცხადა ბონეკმა. მწვრთნელს მარიუშ ლევანდოვსკიც უბამს მხარს: „ჩვენ ყველას გვესმის, რომ გამარჯვება ძალიან გვჭირდება. რთული ბრძოლა მოგვიწევს, მაგრამ მოვიგებთ.“

ნაკრებს სიტყვა მისმა ყოფილმა თავკაცმა ირჟი ენგელმაც შეაწია: „ჩვენ უბრალოდ ვალდებულები ვართ, ევროპის ჩემპიონატზე გავიდეთ. გამოცდილება ჩვენს მხარეზეა, გამარჯვება ნამდვილად შეგვიძლია.“

გამარჯვება კი პოლონეთს ემანუელ ოლისადებეს, რადოსლავ კალუჟნისა და იაცეკ ბაკის გარეშე მოუწევს. ეს სამეული ტრავმირებულია. სიახლე ის არის, რომ თავკაცმა „ამიცას“ 24 წლის ნახევარმცველი მარეკ ზიენჩუკი გამოიძახა, ვისთვისაც ეს პირველი მიწვევაა. გუნდშია ვეტერანი ტომაშ ჰაიტოც.

რაც შეეხება ლატვიელებს, ალექსანდრ სტარკოვმაც ერთ ახალწვეულს, თელ ავივის „მაკაბის“ თავდამსხმელ ანდრეის პროხორენკოვს უხმო.

**შვედეთი — უნგრეთი**

**შვედეთი:** ისაკსონი, იაკობსონი, მელბერგი, ედმანი, ანტონელიუსი, ა. სვენსონი, ლინდეროტი, ლიუნგბერგი, ალექსანდერსონი, ოლსონი, იბრაჰიმოვიჩი

**უნგრეთი:** კირალი, დრაგონერი, დიებეში, ურბანი, ბოდნარი, დარდაი, ლიშერი, ლისტეში, მორიუცა (ან ბოორი), გერა, ა. ტოკოლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*16 ოქტომბერს:*
*უნგრეთი — სან მარინო*



REUTERS

ტომი ბარნსმა და ბერტი ფოგტსმა ფარეხული გაცვეთილი კარგად დაისწავლეს

# თავქარიანი მამაცი გულები

### V ჯგუფი

**ისლანდია — შოტლანდია**

**რადგან** ისლანდიელთა რჩეული თავდამსხმელი რიკარდურ დადასონი ტრავმამ სამი კვირით ჩამოაშორა ფეხბურთს შეტევის ხაზში ეიდურ გუდიონსენს უოტფორდელი ჰეიდარ ჰელგუსონი შეუწყვილდება.

შოტლანდიელთა თავკაცი ბერტი ფოგტსი საამპატჩოდ 3-5-2 სქემას ამჯობინებს. სამკაცა დაცვაში სტივენ პრესლი, კრისტიან დეილი და ლი უილკი ეყოლება. პრესლის სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა ევერტონელი დევიდ ვეირის გამოისობით მოხდა, რომელიც ისლანდიაში ოჯახური მიზეზების გამო ვერ გაემგზავრა. უილკი კი ბერტი ფოგტსმა ფარერების წინაალმდეგ სახიზღრად მოთამაშე სტივენ კრეინის ამჯობინა.

საინტერესო რამ განაცხადა ფოგტსის თანაშემწე ტომი ბარნსმა: „ჩვენ გასამარჯვებლად მზად ვართ. სხვათა შორის, ფარერებთან შეხვედრის დროსაც მზად ვიყავით და მხოლოდ იმიტომ ვერ მოვიგეთ, რომ ბიჭებმა მეტოქის ძალა ვერ შეაფასეს. ხომ გახსოვთ, თავქარიანობით ორი გოლი გავუშვით და როცა ჩვენს შეცდომას მივხვდით, მაშინვე გავათანაბრეთ. სამწუხაროდ, მეტისთვის დრო არ გვეყო. ისლანდიასთან მსგავს შეცდომას, ცხადია, არ დავუშვებთ.“

**შოტლანდია:** დუგლასი, პრესლი, უილკი, დეილი, როსი, ლამბერტი, ფერგიუსონი, მაკნამარა, ნევსმიტი, კროუფორდი, ტომპსონი

**ლიტვა — ფარერები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ფარერები | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*16 ოქტომბერს:*
*გერმანია — ფარერები*
*ისლანდია — ლიტვა*

# საესმა ხავი თქვა და მენდიეტა მოადგილედ დაუნიშნა

**ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია**

**ინაკი საესს** ხუან ვალერონის არყოფნაში მის შემცვლელად ორი კანდიდატურა შეურჩევია, ბეტისელი კაპი და რეალელი გუტი, რომელსაც ალბათ ორი წელიწადი იქნება, ნაკრების მაისურა არ მოურგია. კაპი ბრწყინვალე ფორმაშია, ბრძანა საესმა, გუტის კი გოლი გოლზე გააქვს.

ბოლო წამს გამოირიცხა კარლოს მარჩენას თამაშიც, რომლის ნაცვლადაც „ბეტისიდან“ ხუანიტოს უხმეს.

მარცხენა მცველის ადგილზე ალბათ დებიუტი ექნება დეპორტივოელ კაპდევილას.

სიახლეა სამწვრთნელო შტაბშიც. ინაკი საესს ყოფილი მეკარე ლოპეტეგი დაეხმარება. მას პრიმერადივიზიონის კლუბებიდანაც ჰქონდა მიწვევა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას დათანხმდა.

გარდა ამისა, ესპანელთა თავკაცმა იმ კაცის ვინაობა დაასახელა, რომელიც შტატიან პენალტისტსა და ცოცხალ ლეგენდას, ფერნანდო იეროს შეცვლის. ეს ბარსელონელი ხავი გახლავთ. საესის თქმით, თერთმეტმეტრიანებს სწორედ კატალონიელი შეასრულებს. მართალია, მას თავის კლუბში ეს საქმე არ ავალია, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში პენალტებს ყოველთვის ზუსტად ასრულებდა. მის „მოადგილედ“ კი გაისკა მენდიეტა დანიშნეს, ანუ ხავის არყოფნაში პენალტებს ქრა ბასკი დაარტყამს.

**ესპანეთი:** კასილიასი, პუიოლი, გარსია კალვო, ელგერა, ბრავო, ხოაკინი, ხავი, ბარახა, ვისენტე რაული, მორიენტესი

**უკრაინა — საბერძნეთი**

**ერევანში** ნათამაშები ფრე უკრაინულმა პრესამ ლამის კატასტროფად მონათლა. ზოგიერთი გაზეთი ფედერაციას ლეონიდ ბურიაკის მოხსნასაც უკიჟინებს.

მთავარ მწვრთნელს პასუხისთვის თავი არ აურიდებია (ჩვენ ვინ გვალირსა ევეთი მწვრთნელი), ბოლო სამი კვირის განმავლობაში მან მასმედიას არაერთი ინტერვიუ მისცა და ნაკრების შანსებზე ისაუბრა. დღევანდელ მატჩამდე კი ბაზაზე „ღია კარის“ დღე გამართა.

— სექტემბერში — ბრძანა ბურიაკმა — სომხეთისთვის 5:0 თუ არა, ორი ბურთის სხვაობით მაინც უნდა მოგვეგო, თუმც ფეხბურთელებში დაღლილობამ იჩინა თავი, რამაც საშუალება არ მოგვცა, შესარჩევი ეტაპი გამარჯვებით დაგვეწყო. ეგებ მე შევცდი, როცა გუსინი სერებრენიკოვით შევცვალე, რადგან ამ ცვლილებამ მოედნის ცენტრი დაგვაკარგინა, მაგრამ თვითონ გუსინმა შესვენებაზე მითხრა, ძველმა ტრავმამ შემაწუხაო და სხვა გამოსავალი არ მქონდა. ამჟამად ფეხბურთელები სამ ჯგუფად დავყავი ფუნქციონალური მომზადების მიხედვით. ცალკე ვარჯიშობენ ნესმაჩინი, გუსინი და კონოვალოვი. საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, ითამაშებენ თუ არა ისინი ბერძნებთან. ბუნდესლიგის ბოლო ტურში მუხლი იტკინა სკრიპნიკმა. ექიმები საამპატჩოდ მისი ტრავმის მოშუშებას კი ცდილობენ, თუმცა არ ვიცი, ამას რამდენად მოახერხებენ. დაგეგმილი გვქონდა, რომ ანდრეი შევჩენკოსაც ვიახლებდით, მაგრამ ბოლო წამს მისი შეწუხება გადავიფიქრეთ. იგი ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სჯობს, ზედმეტი მგზავრობით არ დავღალოთ.

მოკლედ, უკრაინელთა ბანაკში სიხალისეა და ბერძენთა დასამარცხებლად გამალებით ემზადებიან.

ახლა ოტო რეჰაგელზე და მის ნაკრებზეც ვთქვათ. გერმანელმა სპეციალისტმა ესპანელებთან დამარცხებული შემადგენლობიდან მხოლოდ ერთ კაცს არ უხმო — კოსტას კონსტანტინიდისი ეროვნული გუნდის მიღმა დარჩა.

ბერძნული მასმედია რეჰაგელისგან რამდენიმე ფეხბურთელის გამოუძახებლობას გაუხელებია. ჰერ ოტომ მონაკოელი ლაკის ზიკოსი და აეკ-ის მცველები — კაპსისი და ხიოტისი არ გამოიძახა, რომლებმაც, ჟურნალისტთა აზრით, ბრწყინვალედ ითამაშეს „რეალთან“ და „რომასთან“ ჩემპიონთა ლიგაში.

**უკრაინა:** რევა, ლუჟნი, სკრიპნიკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, კორმილცევი, სერებრიანიკოვი, გუსინი, ზუბოვი, ვორობეი, რებროვი

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, კირიაკოსი, დაბიზასი, ვენტიდისი, სეიტარიდისი, დელასი, ზაგორაკისი, ცარტასი, იანაკოპულოსი, ნიკოლაიდისი, ხარისტეასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*16 ოქტომბერს:*
*საბერძნეთი — სომხეთი*
*ჩრდ. ირლანდია — უკრაინა*



ხავიმ ესპანელებს იეროობა უნდა გაუწიოს

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. დღეს

## რაღა დარჩა მაკედონიისგან...
### მაკლარენმა ერიქსონს შესთავაზა

VII ჯგუფი

**სლოვაკეთი — ინგლისი**

**სლოვაკეთის ნაკრებს** თურქეთში მარცხის შემდეგ ინგლისთან გამოცდა ელის. არადა, ბრატისლავაში სვენ გორან ერიკსონი, ცხადია, მხოლოდ მოსაგებად ჩადის — მიუხედავად იმისა, რომ დაცვის ცენტრში პრობლემები შეექმნა.

კორეა-იაპონიაში ბრიტანელთა უკანა ხაზს სოლ კემპბელისა და რიო ფერდინანდის წყვილი ადუღაბებდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ამჟამად ორივე ტრავმირებულია.

რიო ფერდინანდმა სულ ახლახან მოშუშებულ მუხლში კვლავ ტკივილი იგრძნო. სერ ალექს ფერგიუსონმა ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა, ფეხბურთელი საოპერაციოდ გაეგზავნა. ცხადია, ფერდინანდის თამაში ნაკრებში გამოირიცხა.

რაც შეეხება სოლ კემპბელს, იგი ეროვნული გუნდის შეკრებაზე სალსალამათი გამოცხადდა, მაგრამ მეორე დღეს კუჭი აიტკივა. გასტრიტის ნიშნები გაქვსო, უთხრეს ექიმებმა და კემპბელიც შემადგენლობიდან ამოვარდა. თუმცა საუთჰემპტონში ოთხშაბათს გასამართ ინგლის — მაკედონიის მატჩისთვის ის ფორმაში იქნება.

სადღეისო თამაშისთვის „მიდლსბროს“ თავკაცმა და იმავდროულად ერიკსონის მარჯვენა ხელმა სტივ მაკლარენმა სანაკრებოდ თავისი კლუბის მცველთა დუეტს, გარეთ საუთგეიტსა და უგო ეჰიოგუს გაუწია რეკომენდაცია. ისინი უკვე ორი წელიწადია ერთად თამაშობენ. საუთგეიტს ეროვნულ გუნდში თამაშის გამოცდილებაც არ აკლია. მან 50 შეხვედრა ჩაატარა მთავარი გუნდის მაისურით. თავად „მიდლსბროც“ სეზონის დასაწყისიდან რიგიანად თამაშობს და ეს კიდევ ერთი არგუმენტია ერიკსონისთვის, სტივ მაკლარენის რჩევას რომ ენდოს. ნაკრებში გამოძახებულია „ლიდსის“ მცველი ჯონათან ვუდგეიტიც.

ძველ სახეს დაიბრუნებს მარჯვენა ფლანგი. ალბათ გახსოვთ, გარი ნევილმა მსოფლიოს ჩემპიონატი ტრავმის გამო გამოტოვა. ნევილი და ბექემი კი მშვენივრად უგებენ ერთმანეთს და ერიკსონმა განაცხადა, მათ ჩავაბარებ მარჯვენა ფლანგსო.

გაურკვეველია, ვინ ჩადგება კარში, დევიდ სიმენი, დევიდ ჯეიმსი თუ პოლ რობინსონი. შვედი კვლავაც ენდობა სიმენს, თუმცა „არსენალის“ მეკარემ თქვა, სეზონის ბოლოს კარიერას დავასრულებო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესარჩევ ციკლს სიმენი ვერ ჩაამთავრებს.

სხვა რგოლებში ინგლისის ნაკრებს დანაკლისი არა აქვს. ტრევორ სინკლერის ნაცვლად ალბათ ბლექბერნელი დევიდ ტომპსონი ითამაშებს, ხოლო ორწლიანი შესვენების შემდეგ ეროვნულ გუნდში ჩელსელ ფრენკ ლამპარდს უხმეს, რომლის თამაშითაც შვედი მოხიბლულა.

მატჩის წინ კი ერიკსონმა თქვა: „ჩვენ ვალდებულნი ვართ, სლოვაკეთს და მაკედონიას მოვუგოთ. ინგლისში საკმაოდ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია და ორი-სამი მოთამაშის ტრავმამ მიზნების განხორციელებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს. მიზანი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებაა, თუმცა ჯერ საჭიროა, პორტუგალიაში მოვხვდეთ.“

**სლოვაკეთი:** კონიგი, ჩისოვსკი, ჟურიკი, ლეიტნერი, პეტრაში, იანოჩკო, მინტალი, პინტე, კარჰანი, ვიტეკი, ნემეტი

**ინგლისი:** სიმენი, გ. ნევილი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ე. კოული, ბექემი, სკოულზი, ჯერარდი, დაიერი, ოუენი, სმიტი

**მაკედონია — თურქეთი**

**მაკედონიის ნაკრებს** ტრავმებმა დარია ხელი. მწვრთნელ ნიკოლა ილიევსკის ტრავმირებულთა გამო შემადგენლობის გვარიანად გადახალისება მოუწევს. მასპინძლებს მთავარი ფორვარდი ანგილ პანოვი დააკლდება, რომელიც ცხვირგატეხილია და ამის გამო ვერ ითამაშებს.

ასევე საეჭვოა სხვა თავდამსხმელების, გეორგ ხრისტოვის და ილჩე ნაუმოვსკის თამაშიც.

ჯერ სად ხართ — მაკედონიელებს კიდევ ოთხი ოთხი ფეხბურთელი: მეკარე გოგო იოვჩევი, ტონი მეგლენსკი, პანჩე ჩუმბევი და დანკო მასევი დაშავებულნი ჰყავთ. მათ შესაცვლელად ნიკოლა ილიევსკიმ „რიეკადან“ ალექსანდრ ვაისსა და გორან პანდევს, ხოლო „პარტიზანიდან“ მილან სტოიაკოვს უხმო. გამოძახებულთა შორის არის ფილიპ დესპოტოვსკიც, ბრაზილიური წარმოშობის აგინალდო ბრაგას ფორმით კი ილიევსკი კმაყოფილი არ არის.

მიუხედავად ამისა, მასპინძელთა მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „თურქეთი ფავორიტია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, სიურპრიზი შევთავაზოთ. ყველაფერს ნახევარმცველების ჭიდილი გაარკვევს. მომდევნო მატჩი ინგლისთან გველის, ამიტომ ვეცდებით, ამ შეხვედრაში მაქსიმალურად გავისარჯოთ.“



REUTERS

დევიდ ტომპსონი (მარცხნივ) ინგლისის ნაკრებში შემთხვევით მოხვდა, დევიდ ბექემი კი რა ხანია, იქაა

მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო მატჩიდან მოყოლებული, თურქები სამ გოლზე ნაკლებს არ სჯერდებიან. სამგოლიან სერიაში საქართველოც მოჰყვა. ამჯერად ოსმალონი მაკედონიის ნაკრების კარში აპირებენ ამდენივეს გატანას.

ნაკრების კაპიტანი ბიულენთ კორკმაზი: „მეტოქის დაუფასებლობა შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. რთული მატჩი გველის. მაკედონიელები შარშანაც ჩვენს ჯგუფში იყვნენ და საკმაოდ გაგვაწვალეს. ყურადღებით უნდა ვიყოთ. ორ შეხვედრაში ექვსი ქულა გვჭირდება, რათა გაზაფხულს მშვიდად დაველოდოთ.“

შენოლ გიუნეშის გუნდში ილჰან მანსიზიც დაბრუნდა. მანსიზმა ტრავმა მოიშუშა და ბოლო ტურში „ბეშიქთაშის“ შემადგენლობაში ერთი ტაიმიც ითამაშა. „მიხარია, მწვრთნელი რომ მენდო — თქვა ფეხბურთელმა, ჩემთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზია. მართალია, ჯერ სათანადო ფორმაში არ ვარ, მაგრამ არც ბევრი მიკლია.“

ალბათ, სამუდამოდ მიუხურეს ნაკრების კარი ჰაქან შუქურს, რომელიც უგუნდოდაა. შუქურს ეროვნული გუნდის მაისურით 80 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ახლა მისი რეკორდის გაუმჯობესება თუგაი ქერიმოღლუს ამოუჭრია გულში. თუგაის 78 სანაკრებო მატჩი დაუგროვდა, ორს ზედიზედ (დღეს და მომავალ ოთხშაბათს) ითამაშებს და მერე კი ერთიღა დარჩება, რათა რეკორდის მოხსნამდე.

შენოლ გიუნეში: „ორ მატჩში თუ ქულათა მაქსიმუმს დავაგროვებთ, სულ ცხრა გვექნება და ასპროცენტიანი შედეგით ჯგუფში პირველობას მოვიხელთებთ. მაკედონიის ნაკრებს ვიცნობ, თუმც როგორც გავიგე, ამჟამად ბევრად გაახალგაზრდავებულია და ამბიციებიც მეტი აქვს, თუმც საბოლოოდ ჩვენი კლასის წყალობით მაინც მოვიგებთ.“

**თურქეთი:** რუშთუ, ფათიჰი, ბიულენთი, ალპაი, უნსალი, თუგაი, ერგუნი, ემრე, ბაშთურქი, არიფი, ჰაკანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მაკედონია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ინგლისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

*16 ოქტომბერს:*
*თურქეთი — ლიხტენშტაინი*
*ინგლისი — მაკედონია*

## ანტუნესი დასამარცხებს აპირებს
### ბარიჩს გასამება უჭარია

VIII ჯგუფი

**ანდორა — ბელგია**

**ბელგიელთა** თავკაცი ემე ანტუნესი ექსპერიმენტების ჩასატარებლად უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებდა. ანდორაში ბელგიელები სამი თავდამსხმელით თამაშს აპირებენ. ის, რომ მბო მპენზა და გაეტან ენგელბერტი არ იქნებიან, რა სადარდებელია. ანტუნესმა გამოძახებული ოთხი ფორვარდიდან სამი შეარჩია: უესლი სონკი, ბობ პეეტერსი და ტომას ბუფელი. სწორედ ამ სამეულის რისხვა ელის ანდორის ნაკრებს და ბელგიელებიც ბულგარეთთან საშინაო მარცხის შემდეგ გუნების გამოკეთებას დღევანდელ მეტოქესთან აპირებენ.

**ბელგია:** დე ვლიგერი, დე კოკი, სიმონსი, ვალგაერენი, დეიდერი, ვანდერჰეგე, ბასეჯიო, გოორი, სონკი, ბ. პეეტერსი, ბუფელი

**ბულგარეთი — ხორვატია**

**ბულგარელ** კრასიმირ ბალაკოვს მცირე ტრავმა აქვს. თუ ვერ ითამაშა, მწვრთნელ პლამენ მარკოვს შემცვლელი შეგულებული ჰყავს — სერბიული წარმოშობის ზორან იანკოვიჩი რიგში დგას, მის ადგილს დაიკავებს. ბალაკოვის თამაშის შემთხვევაში კი სერბი მალენ პეტროვს შეცვლის. მარკოვს იანკოვიჩის იმიტომ ეიმედება, რომ სწორე მან გაიტანა პირველი გოლი პირველ ტურში ბელგიელთა კარში.

ხორვატებს, ესტონეთთან მატჩისგან განსხვავებით, ალენ ბოკშიჩი, იგორ ტუდორი და რობერტ კოვაჩი ეყოლებათ. ოტო ბარიჩს გამარჯვებისა სწამს, ამბობს, ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე დაგვიბრუნდა და ვფიქრობ, ბულგარელებთან მოგებაზე ფიქრი შეიძლებაო.

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, ტუდორი, რ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი, სტანიჩი, ლეკო, რაპაიჩი, ვუგრინეცი (ან ბაბიჩი), ბოკშიჩი, მ. შარიჩი (ან ოლიჩი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ანდორა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*16 ოქტომბერს:*
*ესტონეთი — ბელგია*
*ბულგარეთი — ანდორა*

IX ჯგუფი

**იტალია — იუგოსლავია**

**„სკუადრა აძურა“** კოვერჩანოში ფუსფუსებს. ტრაპატონის გუნდმა ერთი მატჩის გამართვა უკვე მოასწრო — ცხრამეტწლამდელ ბიჭებს გაეჯიბრა. შეხვედრა დიდების გამარჯვებით, 4:1 დასრულდა. გოლები მასიმო ამბროზინიმ, ვინჩენცო მონტელამ, კრისტიანო დონიმ და ალესანდრო დელ პიერომ გაიტანეს. დელ პიერომ, რა გამოსაცნობია და, პენალტით შეაგდო.

ჯოვანი ტრაპატონის პრობლემები არ აკლია. ტრავმირებულნი არიან ფრანჩესკო ტოტი და კრისტიან ვიერი. უკვე დიდი ხანია, „თამაშგარეში“ იმყოფებიან კრისტიანო ძანეტი, ჯანლუკა ძამბროტა და ჯანლუკა პესოტო. კოვერჩანოში ვარჯიშის დროს დაშავდა ფრანჩესკო კოკო, ხოლო ფრანჩესკო ტოლდო საერთოდ არ ჩასულა შეკრებაზე.

ვარაუდობენ, რომ სასტარტო შემადგენლობაში მილანელი ანდრეა პირლო და ატალანტელი ლუჩანო ძაური იქნებიან.

ტრაპატონიმ ლაციოელ მასიმო ოდოსაც უხმო, რომელიც კლუბის ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება.

ფრანჩესკო კოკოს ნაცვლად ნაკრებში „კიევოს“ სალვატორე ლანა გამოიძახეს.

იტალიელი ექიმები მწვრთნელს ამშვიდებენ და პირობას აძლევენ, ფილიპო ინძაგი, ჯანლუიჯი ბუფონი და ალესანდრო ნესტა სამატჩოდ ჯანზე იქნებიანო.

იტალიელი ჟურნალისტების თქმით კი, ტრაპატონის ტაქტიკა დაცვაზე მეტისმეტად არის მიმართული და ეს ცოტა არ იყოს, აშინებთ კიდეც. თუმც დელ პიეროს და ფილიპო ინძაგის პატრონს სანერვიულო, ალბათ, არაფერი უნდა ჰქონდეს.

## ჟურნალისტებს აშინიათ
### ექიმები ამშვიდებენ



ფილიპო ინძაგის წლეულს უკვე ბლომად სალიგო და სასერიო გოლები დაუგროვდა, სანაკრებო კი ჯერაც გასატანი აქვს

**იტალია:** ბუფონი, პანუჩი, ნესტა, კანავარო, ძაური, ამბროზინი, პირლო, გატუზო, დონი, დელ პიერო, ინძაგი

**იუგოსლავია:** ჯეურიჩი, ვიდიჩი, მიხაილოვიჩი, კრსტაიჩი, ნიდჟუკი, ტრობოკი, სტანკოვიჩი, ლაზეტიჩი, დულიაი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი

**ფინეთი — აზერბაიჯანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

*16 ოქტომბერს:*
*უელსი — იტალია*
*იუგოსლავია — ფინეთი*



ჯორჯ და ალექს ბესტები

# თხუთმეტი წლის ბიჭი

**ჯორჯ ბესტი** ჯანზეა! ჯორჯ ბესტი ახალი კაცია!

წელიწადზე მეტ ხანს ელოდა ლეგენდარული ფეხბურთელი ურთულეს ოპერაციას, ღვიძლის ტრანსპლანტაციას და ამ ოპერაციის შემდეგ პირველად გამოჩნდა ტელევიზორში.

მრავალწლიანი ლოთობის შედეგად დაავადებული ბესტი ბოლო ორ წელიწადს აღარც სვამდა, მაგრამ ტრანსპლანტაციის გარეშე თავს ვერ გადაირჩენდა.

„ბი-ბი-სის" სტუდიაში ბესტს თავისი ბოლო ცოლი, ალექსი ახლდა. ეს ახალგაზრდა ქალი ბესტის გადამრჩენად წარმოგვიდგა.

„რა არ გადაიტანა ალექსმა, მე მშვიდობიანი კაცი ვარ, მაგრამ ლოთობის გამო სახლში ერთთავად ვჩხუბობდით. ერთხელ ალექსმა ხელიც კი მოიტეხა" — თქვა ბესტმა.

„ზოგჯერ კვირაობით არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს — მოჰყვა ცოლი — წავიდოდა პაბში, მოვიდოდა, დაიძინებდა, გაიღვიძებდა, ისევ პაბში წავიდოდა."

56 წლის ბესტის ღვიძლის გამოცვლას 10 საათი დასჭირდა.

„ეგონოთ, რომ ხელში ჩავაკვდებოდი. სისხლის ორმოცი პროცენტი დავკარგე. ასეთ ოპერაციებს თურმე ხუთი საათი სჭირდება" — ამბობს ძველი ფეხბურთელი.

ბესტი დღეში თხუთმეტ აბ ნაირგვარ წამალს სვამს იმისთვის, რომ ორგანიზმი ახალ ღვიძლს შეეგუოს და წყნარად ცხოვრობს სარიში, სამხრეთაღმოსავლეთ ინგლისში.

და რაც მთავარია, ჯორჯი პირობას დებს, რომ აღარასოდეს დალევს.

„ასეთი რამ მილიონჯერ მითქვამს, მაგრამ ახლა სახუმარო აღარაფერია. თანაც, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს თხუთმეტი წლისა ვიყო" — ჯორჯ ბესტი მოხუცებულობაში ახალგაზრდულად აბიჯებს.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# შე, მაქინატორო!

## ზეპ ბლატერს მარჯვენა ხელის ექვსი წლით მოჭრას უპირებენ

**ბუენოს აირესის** სასამართლომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ხულიო გრონდონა მაქინაციებში ამხილა. გრონდონას მხარს „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტი მაურისიო მარსი და „სან ლორენსის" ყოფილი ბოსი ფერნანდო მიელიც უმშვენებენ.

ოფიციალურად ბრალდება ასე ჟღერს — ადმინისტრაციული მაქინაციები.

სასამართლოს ერთ-ერთმა მოხელემ, რომელმაც თავისი სახელის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ საბოლოო ვერდიქტისთვის ამ სამეულის საქმე უმაღლეს სასამართლოს გადაეცემა. დეტალურად ყველაფერი ცნობილი არ არის, თუმცა ზოგადად საქმე სტადიონებზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით ტელე-აუდიო სისტემების შესყიდვა-დამონტაჟების დროს ამ სამეულის მიერ უკანონო ფინანსურ ოპერაციებს ეხება.

„ერთადერთი, რაც არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ გააკეთა, ის იყო, რომ ხელი შევუწყეთ „სან ლორენსოსა" და „ბოკა ხუნიორსს" ტელე-აუდიო ტექნიკის შესყიდვაში ერთ-ერთი ესპანური ფირმისგან. დანარჩენი არც ვიცი და არც მეხება — აცხადებს გრონდონა — ხალხი ერთმანეთს შევახვედრე, გავაცანი, მათ კი რაზე მოილაპარაკეს, წარმოდგენა არ მაქვს."

ახლა არგენტინის უმაღლესი სასამართლო მეტ მტკიცებულებებსა და მასალებს ელის, რასაც ბუენოს აირესის ზემოხსენებული მოხელის თქმით, მალე მიაწვდიან.

ცნობისთვის, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში გრონდონასა და კლუბების პრეზიდენტებს 6 წლამდე პატიმრობა ელით.

**სერგი ძორიძე**



ხულიო გრონდონა



მარიო კემპესი

# ვალენსიამ ელ მატადორი გაიხსენა

**ლეგენდარულ** არგენტინელ ფეხბურთელს მარიო კემპესს „ვალენსია" კლუბის წარმომადგენლად გახდომას სთავაზობს.

„ეს ძნელი გადასაწყვეტია, ცხოვრებაში ოფისში არ მიმუშავია და საბოლოო პასუხს ჯერ ვერ ვიტყვი — განაცხადა კემპესმა — შესაძლოა, მოსაფიქრებლად ერთი-ორი კვირაც დამჭირდეს, თუმცა უფრო მგონია, რომ მათ წინადადებას დავეთანხმდები."

კემპესი, რომელსაც ქომაგებმა ელ მატადორი შეარქვეს, პირველად „ვალენსიაში" 1976 წელს გამოჩნდა და პირველ ორ სეზონში 52 გოლი გაიტანა. 1978 წელს ფეხბურთელი სამშობლოში მუნდიალზე გაემგზავრა და იქიდან კლუბს მსოფლიოს თასითა და საუკეთესო მეგოლის სახელით დაუბრუნდა. მომდევნო ორ წელიწადში კი კემპესმა „ვალენსიას" ჯერ სამეფო თასი, მერე ევროპის თასების მფლობელთა თასი მოაგებინა.

ასეთი წარმატების შემდეგ ფეხბურთელმა „ვალენსია" დროებით დატოვა, სამშობლოში დაბრუნდა და ორი წელი „რივერ პლეიტში" იბურთავა. თუმცა როგორც ჩანს, ესპანეთი კვლავ მონატრა და 1982 წელს, მუნდიალის გასრულებისთანავე „ვალენსიას" დაუბრუნდა, სადაც კიდევ ორი სეზონი დაჰყო.

სულ ბოლოს კემპესი დიდ ფეხბურთში 1993-94 წლებში გამოჩნდა. იგი ურუგვაის ეროვნულ გუნდში მთავარი მწვრთნელის ექტორ ნუნიესის თანაშემწედ მუშაობდა.

**ლუკა გეგეჭკორი**

# სალამის თქმა არ გვაცალესო

## ჰოდა, თავიდან



სედანელები მსაჯთან ვერაფერს გახდნენ და ფედერაციაში მოიგეს

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციამ 21 სექტემბრის „ოსერი" — „სედანის" მატჩის გადათამაშება ბრძანა. ის შეხვედრა „ოსერმა" 3:1 მოიგო. სადავო კი აი, რა მოხდა: მას მერე, რაც სედანელმა პიუს ნდიეფიმ გაათანაბრა, 75-ე წუთზე, „ოსერმა" მყისვე მეორე გოლი გაიტანა. მერე ამას ერთიც მიაყოლა და 3 ქულა ჩაიწერა. „სედანმა" კი მეორე გოლზე იჩივლა, ისე გაგვიტანეს, ჩვენმა ორმა ფეხბურთელმა საკუთარ ნახევარზე ჩამოსვლაც ვერ მოასწროო.

„ოსერის" მწვრთნელმა გი რუმ ეს გადაწყვეტილება უკვე გაასაჩივრა, თუმცა ალბათ უკვე აღარაფერი შეიცვლება. მატჩის გადათამაშების თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

# ბატკანი ვარ, ბატკანი!

## როდის იყო, ბატკანი კოკაინს ყნოსავდა

**„დამიჯერეთ**, 100 პროცენტით სუფთა ვარ" — განუცხადა რენე იგიტამ სადისციპლინო კომისიას, თუმცა არავინ დაუჯერა.

საქმე ის არის, რომ 36 წლის მეკარეს სისხლში კოკაინი აღმოუჩინეს და 6-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს.

„ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ აქ რაღაც შეცდომაა" — ეს იგიტას კლუბის, „პარეირას" პრეზიდენტ რამონ რიოსის სიტყვებია.

რამოსი და იგიტა კი ამტკიცებენ, მაგრამ კოლუმბიაში რენე იგიტას ბატკანივით უცოდველობისა ნაკლებად თუ ვინმეს სჯერა. სხვათა შორის, კოკაინის ტალღაზე კოლუმბიურ პრესაში მეკარის მიერ გამტაცებლებთან და ნარკობარონებთან ძმური ურთიერთობაც გაიხსენეს. რაც შეეხება მის კლუბს, „პარეირაში" რენე სექტემბრიდან თამაშობს და მისი მისვლის შემდეგ კლუბმა საგრძნობლად მოუმატა.

**სერგი ძორიძე**



რენე იგიტა

# ერთმატჩიანი ბრაზილია

**ბრაზილიის ნაკრები** მომავალი წლის კონფედერაციათა თასზე საფრანგეთში აუცილებლად ჩავა. მიმდინარეობს მოლაპარაკებები 2003 წლის თებერვალსა და აპრილში გასამართ ამხანაგურ მატჩებზეც. იქამდე კი, 20 ნოემბერს, პენტაკამპეონები კორეას წაებურთავებიან.

როგორც ხედავთ, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია უსაქმოდ ნამდვილად არ ზის. ერთადერთი, რაც ბრაზილიაში ვერ გადაუწყვეტიათ, ნაკრების მწვრთნელის ვინაობაა. უახლოეს ამხანაგურ მატჩზე, კორეაში, კვლავაც დროებითი მწვრთნელით წასვლას აპირებენ.

როგორც ბრაზილიურ მედიაში ჭორაობენ, შესაძლოა, მარიო ზაგალო, ანაც გადასახადების დამალვის გამო სახელწახდენილი ვანდერლეი ლუქსემბურგოც მიიწვიონ. პრესაში 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებ პარეირას გვარიც ამოტივტივდა.

ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელის საკითხი, იქაურების აზრით, დეკემბრამდე ანუ ბრაზილიის ჩემპიონატის გასრულებამდე არ გადაწყდება. მანამდე კი ნოემბერში ნაკრებს კორეის წინააღმდეგ ვინმე „ერთმატჩიანი" მწვრთნელი, სავარაუდოდ, ისევ ლუიშ ფელიპე სკოლარი გაუძღვება.

**სერგი ძორიძე**




☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "ნელიასთან"

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ჰამბურგი(მ) | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.00 | 003 | აუე-ესენი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 17.00 | 004 | ურდინგენი-ქემნიცი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 17.00 | 005 | ვერდერი(მ)-ბაბელსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.00 | 006 | ლევერკუზენი(მ)-ვატენშაიდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.00 | 007 | ოსნაბრიუკი-მიუნსტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 008 | პადერბორნი-დინამო | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 009 | დორტმუნდი(მ)-ფერლი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 012 | ერფურტი-ლაუტერნი(მ) | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 013 | შვაინფურტი-რეგენსბურგი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 17.30 | 014 | ნოინკირხენი-ბაიერნი(მ) | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 015 | აუგსბურგი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 17.30 | 016 | დარმშტადი-აინტრახტი(მ) | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.30 | 017 | აალენი-ვეენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 018 | ზიგენი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-დერბი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 021 | ბარნლი-უოლსოლი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-უენსდი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 19.00 | 023 | მილუოლი-უიმბლდონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 024 | როტერჰემი-ჯილინგემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 025 | უოტფორდი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 026 | უოტფორდი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

**ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 16.00 | 029 | პიტერბრო-მენსფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 030 | ბარნსლი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 19.00 | 031 | კარდიფი-უიკომბი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 032 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 033 | ჰადერსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 034 | ლუტონი-ჩელტენემი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 035 | ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 036 | პლიმუთი-უიგანი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 037 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-ქრიუ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 039 | სუინდონი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 14 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 23.45 | 040 | ქუინს პარკი-ბლეკპული | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბოსტონი-ტორკი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 042 | როვერსი-ლინკოლნი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.00 | 043 | ბერი-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 044 | კარლაილი-შრუსბერი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 045 | ექსეტერი-რაშდენი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 046 | ჰალი-როჩდეილი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 047 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 048 | ოქსფორდი-სუონსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 049 | სკანთორპი-კემბრიჯი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 050 | საუთენდი-იორკი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 051 | რექსემი-ლეიტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბორნმუთი-ჰარტლპული | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |

**იტალია. სერია "B". VII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 053 | ანკონა-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,3 | 1,08 | 1,34 | 1,78 |
| 18.00 | 054 | ბარი-ლეჩე | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 055 | კალიარი-ასკოლი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 056 | ლივორნო-ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 057 | მესინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 18.00 | 058 | სალერნიტანა-პალერმო | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 18.00 | 059 | სამპდორია-კატანია | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 060 | ტრიესტინა-კოზენცა | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 061 | ვერონა-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 062 | ვენეცია-ჯენოა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 21.30 | 102 | ფეროლი-ალმერია | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 21.30 | 103 | ეხიდო-სერესი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 21.30 | 104 | ლეგანესი-ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 23.30 | 105 | ალბასეტე-სპორტინგი | 1,75 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,78 |
| 20.00 | 106 | კომპოსტელა-სარაგოსა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 107 | ოვიედო-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.00 | 108 | სალამანკა-ელჩე | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 22.00 | 109 | ტენერიფე-ებარი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 20.00 | 110 | მურსია-ტერასა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 111 | კორდობა-ნუმანსია | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.30 | 112 | ლევანტე-ბადახოსი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

**პორტუგალია. II ლიგა. გადადებული მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 20.00 | 201 | ალვერკა-ოვარენსე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 20.00 | 202 | პორტიმონენსე-ლამაში | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**ბელგია. II დივიზიონი. IX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 22.30 | 116 | დესელი-ვირტონი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.00 | 117 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 23.00 | 118 | ეუპენი-ლიეჟი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 119 | რონსე-დაინცე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 120 | დენდერლეუ-გეელი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 121 | ვესტე-სტრომბეკი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 122 | სერკლი-ვიგორი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 18.00 | 123 | ინგელმუნსტერი-რუსელარე | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 18.00 | 124 | ტინენი-პატრო | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 125 | კლაიდი-ქუინი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 126 | გრეტნა-ალბიონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.30 | 140 | მოლდოვა-ჩეხეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 19.00 | 141 | შვედეთი-უნგრეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 142 | საქართველო-რუსეთი | ანგარიში5,0 | | | | | |
| 19.00 | 143 | ისლანდია-შოტლანდია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 20.00 | 144 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 145 | ბელარუსი-ავსტრია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 146 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 21.00 | 147 | ლიტვა-ფარერები | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.00 | 148 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 22.00 | 149 | მალტა-ისრაელი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 22.00 | 150 | რუმინეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 151 | პოლონეთი-ლატვია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 22.00 | 152 | მაკედონია-თურქეთი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 22.15 | 153 | დანია-ლუქსემბურგი | 1,02 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 22.30 | 154 | სლოვაკეთი-ინგლისი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 23.00 | 155 | ანდორა-ბელგია | 16,0 | 8,0 | 1,05 | 5,33 | 1 | 1 |
| 23.00 | 156 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.45 | 157 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.45 | 158 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 00.45 | 159 | ესპანეთი-ჩრდ.ირლანდია | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 16.00 | 177 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 01.00 | 199 | პორტუგალია-ტუნისი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | | | | |
| 18.30 | 2101 | მოლდოვა-ჩეხეთი | 12,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,2 | 30,0 | 15,0 | 1,8 |
| 19.00 | 2102 | შვედეთი-უნგრეთი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 19.00 | 2103 | საქართველო-რუსეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 19.00 | 2104 | ისლანდია-შოტლანდია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.00 | 2105 | ბულგარეთი-ხორვატია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.30 | 2106 | ბელარუსია-ავსტრია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2107 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.00 | 2108 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2109 | პოლონეთი-ლატვია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.00 | 2110 | მაკედონია-თურქეთი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 22.30 | 2111 | სლოვაკეთი-ინგლისი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 23.00 | 2112 | ალბანეთი-შვეიცარია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,7 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.45 | 2113 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2114 | იტალია-იუგოსლავია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.45 | 2115 | ესპანეთი-ჩ.ირლანდია | 1,2 | 20,0 | 40,0 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |

## 1-ლი ტაიმის შედეგი

**2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | |
| 18.30 | 2001 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,0 | 2,7 | 1,65 |
| 19.00 | 2002 | შვედეთი-უნგრეთი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 2003 | საქართველო-რუსეთი | 3,8 | 2,1 | 2,5 |
| 19.00 | 2004 | ისლანდია-შოტლანდია | 2,7 | 2,1 | 3,5 |
| 20.00 | 2005 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,8 | 2,1 | 3,4 |
| 20.30 | 2006 | ბელარუსია-ავსტრია | 2,9 | 2,1 | 3,3 |
| 21.00 | 2007 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,4 | 2,1 | 4,2 |
| 22.00 | 2008 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,2 | 2,1 | 5,3 |
| 22.00 | 2009 | პოლონეთი-ლატვია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 22.00 | 2010 | მაკედონია-თურქეთი | 5,6 | 2,35 | 1,9 |
| 22.30 | 2011 | სლოვაკეთი-ინგლისი | 6,0 | 2,3 | 1,9 |
| 23.00 | 2012 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,7 | 2,15 | 2,25 |
| 23.45 | 2013 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 23.45 | 2014 | იტალია-იუგოსლავია | 1,7 | 2,4 | 7,0 |
| 00.45 | 2015 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 10,0 |

## ფორმულა 1. XVII რბოლა. იაპონია. სუზუკა

13 ოქტომბერი(07.00)

| | 5001 გამარჯვებული | სამეული | | ექვსეული | | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,55 | 5101 | 1,1 | 5201 | 1,05 | 1,55 |
| ბარიკელო | 2,8 | 5102 | 1,25 | 5202 | 1,12 | 2,8 |
| მონტოია | 7,0 | 5103 | 1,7 | 5203 | 1,35 | 7,0 |
| რ.შუმახერი | 10,0 | 5104 | 2,2 | 5204 | 1,35 | 10,0 |
| კულტჰარდი | 15,0 | 5105 | 3,2 | 5205 | 1,35 | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 | 5106 | 3,2 | 5206 | 1,4 | 20,0 |
| ირვაინი | 100,0 | 5107 | 20,0 | 5207 | 2,6 | 100,0 |
| ტრული | 100,0 | 5108 | 20,0 | 5208 | 2,8 | 100,0 |
| ბატონი | 100,0 | 5109 | 20,0 | 5209 | 2,8 | 100,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 5110 | 30,0 | 5210 | 3,5 | 150,0 |
| ფრენცენი | 150,0 | 5111 | 30,0 | 5211 | 3,5 | 150,0 |
| ჰაიდფელდი | 150,0 | 5112 | 30,0 | 5212 | 3,5 | 150,0 |

ხელბურთი

# გლდანო, თქვი შაბაშ, ბაშარაჟ!

„გლდანს" — საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს — საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი აქვს, ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების საწყის ეტაპზე დღეს და ხვალ თელავში ლუქსემბურგის „ბაშარაჟს" დაუპირისპირდება.

„გლდანი", რომელსაც 80-იანი წლების ცნობილი ხელბურთელი ლევან აბესაძე წვრთნის, შარშან შეიქმნა. რაკი წლეულს საქართველოს თასი არ გათამაშებულა, გლდანელებმა ეროვნულ პირველობაზე დაკავებული მესამე ადგილით მიიღეს თასთა თასზე ასპარეზობის საგზური. გუნდში თბილისელი, თელაველი, ქუთაისელი და ფოთელი მოთამაშეები არიან. ბიჭები ხუთი დღეა, თელავში იმყოფებიან შეკრებაზე, ყოველდღიურად ორ-ორჯერ ვარჯიშობენ და საბრძოლველადაც მზად არიან.

„ბაშარაჟი" 1974 წელს დაარსდა, 1985 წლიდან ლუქსემბურგის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. იქაური თასის წლევანდელი გათამაშების ფინალში ჩემპიონ „ეშთან" დამარცხდა — 19:24. ცნობისთვის, „ეში" ერთი კვირის წინ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშებიდან ესპანურმა „ალტეამ" გამოთიშა — 35:21, 24:20. ახლახან დაწყებულ ლუქსემბურგის 2002-2003 წლების სეზონში „ბაშარაჟი", სამი ტურის შემდეგ ორი მოგებით და ერთი ფრით, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა.

ლუქსემბურგელი ხელბურთელები გუშინ გამთენიისას ჩამოფრინდნენ თბილისში და მაშინვე თელავისკენ გასწიეს. სტუმართა 18-კაციანი დელეგაცია წინანდლის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდა, დარბაზიდან ათიოდე წუთის სავალზე. „ბაშარაჟს" ორი ლეგიონერი ჩამოჰყვა — იუგოსლაველი ჟივიდან იოვანოვიჩი და რუსი იური გავრილოვი. გუნდის მწვრთნელი გახლავთ ფერნანდ შოტი.

მატჩები თელავის სპორტთამაშების სპორტსკოლის დარბაზში გაიმართება. მსაჯები ბელარუსიდან არიან — ლეონიდ ნაზარუკი და ვლადიმირ გრიცევიჩი. ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატია თურქი იავუზ ტაშკირანი. თამაში 15 საათზე დაიწყება.

**გია ახალაძე**



„გლდანის" მეტოქე ლუქსემბურგის „ბაშარაჟი"

კალათბურთი



ახალი დენვერელები: ნენე ილარიო და ნიკა ცქიტიშვილი

# ცქიტიშვილი 3+3

**ნიკა ცქიტიშვილმა** გუშინ ნაღდ პროფესიონალებთან ერთად ითამაშა. თუ აქამდე ჩვენებურს მხოლოდ ახალბედა დენვერელებთან ერთად ეთამაშა ამხანაგურ მატჩებში, სეზონისწინა პირველ საგამოფენო შეხვედრაში ყველა დენვერელთან ერთად იყო. მეტოქე უბრალო გუნდი არ ყოფილა, დალასში „დენვერს" დირკ ნოვიცკის „მავერიკსი" დაუხვდა.

ორივე გუნდს მოედანზე თითქმის საბრძოლო შემადგენლობა ჰყავდა, თუმც საგამოფენო მატჩები ნაღდ ნბაურ ბრძოლებს რას გაუტოლდება. გუნდები საბოლოო შედეგით უკმაყოფილონი არ დარჩენილან. ეგრეა, დენვერელებისთვის სულაც არ იყო სამარცხვინო 8-ქულიანი მარცხი, მათ ხომ გაცილებით ამბიციურ „დალასთან" სტუმრად ითამაშეს.

ბოლო წლებში „დენვერი" პლეი ოფის უცხო სტუმარია და მისგან არც წლეულს ელიან ხეირს. აკი გუნდის ხელმძღვანელობამ ახალთაობა იმიტომაც შემოიკრიბა, რომ მაღალ შედეგებს მომავალში მოიკითხავს, მაშინ, როცა ყმაწვილკაცები დალვინდებიან და ვარსკვლავებად თუ არა, გუნდის გამარჯვებათა საფუძვლად იქცევიან. ასეთი ახალგაზრდებისთვის კი ამგვარი მატჩები მისწრებაა და ისინიც ცდილობენ, კალათბურთის უკეთმცოდნეთაგან რაც შეიძლება მეტი ცოდნა-გამოცდილება მიიღონ.

ახალბედებს „დენვერი" არ შეურცხვენიათ. ნენე ილარიომ კარგად იმუშავა. მას არც ნიკა ცქიტიშვილი ჩამორჩა. ქართველმა 12 წუთი ითამაშა და ექვსი ქულა დააგროვა. ბზდელიკმა ჩვენებური ფრთის პოზიციაზე გაამწესა და სავარაუდოდ მომავალშიც სამ ნომერზევე ათამაშებს. ცქიტიშვილმა ორჯერ შეუტია დალასელთა ფარს სამქულიანით და ორივე ჩააგდო. სხვა სროლის შანსი ჩვენებურს არ ჰქონია. ნიკას ანგარიშზე თითო მოხსნა და ჩაჭრაა, თუმც ბურთი 3-ჯერ დაკარგა. ქართველზე ორით მეტი ბურთი დაკარგა ილარიომ, თუმც ბრაზილიელმა ახალბედამ უმეტესი, 9 მოხსნა მიითვალა და 22 წუთში 14 ქულაც ჩააგდო.

მომავალ საგამოფენო მატჩს „დენვერი" 12 ოქტომბერს შაკილ ონილის „ლეიკერსთან" გამართავს ოკლაჰომა სიტიში.

**ირაკლი ბერტაია**

# მარკოიშვილმა გახსნა ის, რაც ბოისამ დახურა

**საწადელი** აუხდა მანუჩარ მარკოიშვილს, მისი ბენეტონური დებიუტი ევროლიგის მატჩში შედგა. ქართველმა უკანახაზელმა მხოლოდ სამი წუთი ითამაშა ფრანგულ „პო ორტეზთან", თუმც სხვა ევროლიგელი ქართველებიც ხომ ასე იწყებდნენ. მარკოიშვილსაც სწორედ ამის ეიმედება:

—რაც მთავარია, ვითამაშე, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ ნიკა ცქიტიშვილმაც ხომ ასე დაიწყო, თავიდან არც იგი თამაშობდა „ბენეტონში" ხშირად.

მატჩამდე „სარბიელთან" საუბარში მანუჩარი იმედიანად იყო, ამბობდა, ეტორე მესინა აუცილებლად მათამაშებსო. ასეც მოხდა, თუმც ტრევიზოელებს რომ მალევე არ გაეტეხათ ფრანგები, მარკოიშვილის დებიუტი შესაძლოა, მომავლისთვის გადადებულიყო.

— თამაშში რომ შევედი, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, ჯერჯერობით ალბათ ასე იქნება, მწვრთნელი დაძაბულ შეხვედრებში არ შემიყვანს. მოედანზე რომ გავდიოდი, მესინამ მითხრა, აგრესიულად ითამაშე და არავის და არაფერს მოერიდო, დაცვა არ დაივიწყო და სასროლი ესროლეო. ბევრი ვერაფერი მოვასწარი, ერთხელ ვესროლე არაზუსტად და ერთი ბურთი ჩავჭერი.

„ბენეტონმა" იოლად მოუგო საფრანგეთის ჩემპიონს, რაშიც, როგორც ხედავთ, ქართველის როლი უმნიშვნელოა. სამაგიეროდ, ლომის წილი უდევს „ოლიმპიას" გამარჯვებაში ვლადიმერ ბოისას. ლიუბლიანელებმა სტუმრად მოულოდნელად დაამარცხეს მალაგის „უნიკახა", რომელიც შინაურ ჩემპიონატში ტოლ-სწორად ეპაექრება ხოლმე „ბარსელონას" და „რეალს". სლოვენიელთა გამარჯვება იმიტომაა მოულოდნელი, რომ ფინანსური კრიზისის გამო შარშანდელი შემადგენლობიდან ყველა დიდხელფასიანი კალათბურთელი წავიდათ, ახალმოსულნი კი მცირედზეც ყაბულს არიან, თუმც, როგორც ჩანს, ძველებზე არანაკლებ ფხიანები არიან.

ბოისა შეტევაშიც აფრთხობდა ესპანელებს და არც დაცვაში ახარებდა. ჩვენებურმა გუნდის ლიდერობა პირველ მეოთხედში გასწია, 10 ქულა ჩააგდო და ოლიმპიელებს შეაგრძნობინა, რომ დაუმარცხებელი არავინაა. მეორე მეოთხედიდან ბოისა დაცვაზე გადაერთო და თამაშის ბოლომდე ოლენ ორი ქულა შეიმატა. სანაცვლოდ უკანახაზში წაადგა თავისიანებს, ფარზე კი ბადალი არ ჰყავდა და მატჩში უმეტესი — 9 მოხსნა მოიხვეჭა.

ევროლიგის ქართველური ამბები ზაზა ფაჩულიას „ულქერის" მატჩით გავასრულოთ. სტამბოლელები, ამბიცია და ლეგიონერებმოზღვავებულ ცსკა-ს ბოლომდე ეომნენ, თუმცა ოლენ სამქულიან მარცხს გამორჩნენ. მათმა ახალმა მწვრთნელმა თორგა ონგორენმა 15 წუთი ათამაშა ჩვენებური, რაც „ულქერის" მანამდელ თავკაცს მურათ დიდინს წინა ევროლიგისას არასოდეს გაუკეთებია. ბოისასი არ იყოს, ზაზაც დაცვაზე იყო ორიენტირებული, შეტევაში კი ოლიმპიელივით ვერ იყოჩაღა — ფაჩულიას მონაგარი მხოლოდ 4 ქულაა.

**ირაკლი სახეიძე**



ვლადიმერ ბოისა



დავით ბერძენიშვილი

*ნარმატებული გამოდგა საქართველოს ნაკრების ცენტრის დავით ბერძენიშვილის თურქული დებიუტი — წლეულს „ბასკოდან" ანკარის „თედ კოლეჟში" გადასულმა თურქეთის ჩემპიონატის გახსნის მატჩი თითქმის სრულად ითამაშა და ამბიციური „ტელეკომის" დამარცხებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 12 ქულის გარდა ბერძენიშვილმა 10-ჯერ მოხსნა ბურთი და მეწყვილე ამერიკელიც ფარქვეშ უხვად ამარაგა პასებით*

# უკრაინის ნაკრების მწვრთნელი საქართველოს ნაკრების არარსებულ მწვრთნელს ბერძენიშვილს ურჩევს

სანამ დავითს ანკარაში დავუკავშირდებოდით, ჩვენებურის თამაშის შეფასება „თედ კოლეჯის" თავკაცს, ამავდროულად უკრაინის ნაკრების მწვრთნელ **ვიქტორ ბერეჟნოის** ვთხოვეთ.

— დავითის თამაშით კმაყოფილი ვარ, მან კარგად იმუშავა ფარქვეშ და გამარჯვებაშიც დიდი წვლილი შეიტანა. „ტელეკომი" არაა უბრალო გუნდი, მას საპრიზო სამეულში მოხვედრა სურს. ასე რომ, მისი დამარცხება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**— რის ხარჯზე აჯობეთ მეტოქეს, განსაკუთრებით რომელ რგოლს გამოარჩევთ?**

— რა თქმა უნდა, წინა ხაზს. უფრო ზუსტად კი ცენტრებს. დავით ბერძენიშვილი და ამერიკელი პოლ რიდი უამრავ პრობლემას უქმნიდნენ ფარქვეშ მეტოქეს. ვფიქრობ, ერთი ან მეორე რომ არ გვყოლოდა, ვერ მოვიგებდით.

**— უკეთ რომელმა ითამაშა?**

— ამერიკელმა ქართველზე მეტი ქულა ჩააგდო, მაგრამ ეს ისევ დავითის დახმარებით მოახერხა. კარგი მეწყვილე რომ არ ჰყოლოდა, რიდი ბევრ ქულას ვერ დააგროვებდა.

**— „ტელეკომი" სუსტი გუნდი არ არის, მაგრამ უფრო ძლიერებთანაც მოგიწევთ თამაში. იმ მატჩებში თუ გეიმედებათ ბერძენიშვილის?**

— რომ არ მეიმედებოდეს, ჩვენთან არ იქნებოდა. დავითი კარგი კალათბურთელია და ახლა ჩინებულ ფორმაშია. მალე უკრაინაში წავალ, ნაკრებს თამაშები აქვს. არ ვიცი, საქართველოს ნაკრებსაც ელის თუ არა მატჩები, მაგრამ ბერძენიშვილს თუ გამოიძახებენ, არ შეცდებიან.

**— მეორე ქართველი ცენტრიც თამაშობს თურქეთში.**

— ვიცი, ზაზა ფაჩულია ძალიან პერსპექტიული მოთამაშეა. მასში ნიჭს რომ არ ხედავდნენ, ულქერელები გუნდში არ გააჩერებდნენ. მოვა დრო, როცა ფაჩულია უმაღლეს დონეზე ითამაშებს, დღეს კი ვერ ვიტყვი, რომ „თედ კოლეჯის" ქართველ ცენტრს ზაზა რამით სჯობია. ფაჩულიას პერსპექტიულობა ბერძენიშვილის გამოცდილებას ჯერჯერობით ვერ სწონის.

„თედ კოლეჯის" მთავარი მწვრთნელის შემდეგ „სარბიელის" კითხვებს დავით ბერძენიშვილმა უპასუხა.

**— ელოდით „ტელეკომს" დამარცხებას და თქვენთვის შედეგიან დებიუტს?**

— მართალი გითხრათ, ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ჩემი თავის და გუნდის იმედი, რა თქმა უნდა, მქონდა. უფრო გამარჯვებამ გამახარა, თუმც კარგადაც რომ ვითამაშე, რა სჯობს ამას.

**— მთავარი მწვრთნელი თქვენით კმაყოფილია და არა მარტო ამ მატჩის გამო.**

— ვიქტორ ბერეჟნოი კარგი მწვრთნელი და პიროვნებაა. ის ადრე ცნობილი კალათბურთელი იყო, თუმც აქტიური სპორტიდან მოსულ ყველა მწვრთნელზე ეს არ ითქმის, ზოგს ალღო აკლია-ხოლმე. ბერეჟნოი კი სწორედ ამ მხრივაა გამორჩეული, მან იცის ვინ და როდის შეიყვანოს მოედანზე. მიხარია, რომ იგი მაფასებს და მეც ვცდილობ, არ დავაღალატო.

**— თქვენს თამაშზე რას იტყვით, სადებიუტო მატჩისთვის 12 ქულა ცოტა არაა?**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული არ გამიკეთებია. რაც მევალებოდა, იმაში არ შევირცხვინე თავი, ბურთებიც ჩავყარე, მოხსნებიც ბლომად დავაგროვე და ფარქვეშაც არაერთი პასი მივეცი ჩემიანს.

**— ის თქვენიანი, პოლ რიდი იყო.**

— კი, 23 წლის ამერიკელი ცენტრია. წლეულს დაამთავრა ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტი. დრაფტში ვერ მოხვდა და ჩვენთან აღმოჩნდა. მასთან ერთად ხშირად მიწევს ფარქვეშ ბრძოლა. „ტელეკომთან" კი ბლომად პასი მივაწოდე, ქულებიც ჩემზე გაცილებით მეტი დააგროვა.

**— ალბათ, ზაზა ფაჩულიასთანაც მოგიწევთ თამაში, ოღონდ „ულქერის" დამარცხება „ტელეკომივით" იოლი არ იქნება.**

— ვიცი, „ულქერი" ჩემპიონობის რეალური კანდიდატია. ეს გამარჯვება კი იოლი სულაც არ ყოფილა. „ტელეკომმა" ამას წინათ, ამხანაგური მატჩი დიდი სხვაობით მოგვიგო და ახლა არხეინად გამოვიდა მოედანზე. თანაც მათ ჩვენი ამერიკელი ცენტრი მაშინ არ ენახათ და განსაკუთრებულ ყურადღებას მე მაქცევდნენ. ორი კალათბურთელი გამუდმებით მიჭერდა, ხანდახან მესამეც გადმოდიოდა ჩემზე. ამიტომაც როდი ხშირად თავისუფლდებოდა და პასსაც არ ვუგვიანებდი. ზაზა კი უკვე ორჯერ ვნახე, ერთხელ ულქერელები ანკარაში იყვნენ ჩამოსულნი, ერთხელაც ჩემი გუნდი სტუმრობდა სტამბოლს. ბოლოს რომ შევხვდი, გავეხუმრე, მალე ვითამაშებთ და საბრძოლველად გაემზადე-მეთქი.

**ირაკლი ბერტაია**

# მარტა გაბაცდა და გაუღიმღამდა

## დევისფინალის რეპეტიცია ფრანგებმა მოიგეს



ნიკოლა ესკუდე

**ვენის საერთაშორისო ტურნირი**
ჰარდი. საპრიზო 765 ათასი $

**მეორე წრე**

**იურგენ მელცერი (ავსტრია) — ტომი ჰაასი (1, გერმანია) 6:4, 6:3; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 6:4, 6:2; როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2, 6:7 (5:7), 6:4; ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 7:6 (7:4); ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:1, 5:7, 7:5; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:0, 6:4**

ტურნირიდან მთავარმჩოგნეთა გაბუნძურების დღე იყო — ადგილობრივ ქომაგთა 21 წლის იმედმა, იურგენ მელცერმა, ვინაც ორგანიზატორებმა საგანგებო საშვით მიიწვიეს, შარშანდელი ჩემპიონი და პირველ ნომრად განთესილი ტომი ჰაასი დაამხო, ჩეხმა ბოგდან ულირახმა კი ჰაასისმომდევნო ხუან კარლოს ფერერო აბარგა.

დამაჯერებლად და საჩემპიონოდ გერმანელ ჩემპიონს არც პირველ წრეში, სკვით მიხაილ იუჟნისთან ძლივს მოგებულ შეხვედრაში უჩოგნავია, ხოლო მელცერთან ყისმათმაც უგანა და რაც არ ერგებოდა, აკი არც შეერგო კიდეც.

ჰაასი: „ვფიქრობ, დღეს უკეთესად ვითამაშე, ვიდრე იუჟნის წინააღმდეგ. გუშინ ცოტა გამიმართლა კიდეც– იმედგაცრუებული ვარ, ტიტულის დაცვა რომ ვერ შევძელი. მეორეს მხრივ, საერთოდ თუ ვითამაშებდი, ეგეც არ მეგონა, ვინაიდან მხარი ჯერაც არ მომირჩენია და საშინლად მაწუხებს. ჩემი უმთავრესი მიზანი შანხაიურ მასტერსთასზე მოხვედრაა. ამიტომაც მინდოდა, აქ კიდევ ერთხელ მემარჯვა. ვნახოთ — მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს კვირებში ვეცდები... მელცერი კი ჩინებული მოთამაშე ყოფილა. ცაციაობა მას ძალზედ სახიფათოს ხდის. დღეს მან ბევრი რისკა, ბოლომდე იიერიშა და დამსახურებულადაც მოიგო... გული მწყდება, მშობლებს ზეიმი რომ ვერ მოვუწყვე, მაგრამ მათთვისაც და ჩემთვისაც ისიც ერთ რამედ ღირს, საერთოდ აქ მოსვლა რომ შეუძლიათ — გახსოვთ, ალბათ, რა საშინელი განსაცდელიც გამოიარეს".

მელცერი კი ნამატჩევს „კარიერის საუკეთესო მატჩზე" საუბრობდა. არც გაემტყუნებოდა, რაკიღა სამი წლის განმავლობაში მეპროფესიონალეს ზეათეულის წარმომადგენელი აქამდე ვერასოდეს დაემარცხებინა. ეგ კი არა და, ზეასეულში შესვლა და 95-ე ჩოგნის დაკავება მან მხოლოდ ამ სეზონში მოახერხა.

ჰაასის დარად ორ სეტში იძლია კოლოფერეროც, ვისაც ჩეხ ბოგდან ულირახთან აქამდე სამჯერ ეთამაშა და სამჯერვე მოეგო.

ულირახი: „წასაგები არაფერი მქონდა, ამიტომაც შეუბორკავად და ხალისით ვითამაშე. ეს საფარი ჩემს სტილს შეეხამება და ესეც დამეხმარა. მეეც არ იყოს, ბოლო დროა, ძალიან ბევრს ვთამაშობ და ხანაქებო ფორმაშიც ვარ. ფერერო კი, ეტყობა, ნერვიულობდა — ის ხომ მასტერსთასზე მოსახვედრად იბრძვის და მისთვის ყოველ თამაშს მეტი დატვირთვა აქვს".

სხვაფრივ — გამოსარჩევია რუმინელი ანდრეი პაველის ჩაუქი გარჯა. ალ კოსტას ძლევის შემდეგ პაველმა ასევე იოლად დათრგუნა გერმანელი შუტლერიც და ირჟი ნოვაკის გარდა მეორეა, მეოთხედფინალს სეტისწაუგებლად რომ მიაღწია.

შუტლერის კვალს მიჰყვა, უფრო სწორედ, ჯეიმს ბლეიკმა მიაყოლა ნიკოლას კიფერიც. ეს მათი პირველი შეხლა გახლდათ და, მართალია, 22 წლის შავხუჭუჭა ნიუიორკელი მეტოქის თამაშით მოხიბლული დარჩა (განსაკუთრებით მაშინ, როცა იმან მეორე სეტში 3-გეიმიანი უპირატესობა გაუტრიზავა), მაგრამ თავად მაინც უკეთესად იბურთავა.

დღის ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა კი როჯერ ფედერერმა (6) და ესპანელმა ტომი რობრედომ გამართეს. 21 წლის ნიჭიერ შვეიცარიელს მოგება მეორე სეტშივე შეეძლო, მაგრამ რობრედომ მატჩბურთი მოუგერია და კიდევ ერთი, უმძაფრესი სეტი აბულრავა. ნამატჩევს ფედერერი კმაყოფილობდა და — ცოტა ბედიც ჩემსკენ იყო — პალაჭად დასძინდა.

**ლიონის საერთაშორისო ტურნირი**
ხალიჩა. საპრიზო 761 ათასი $

**მეორე წრე**

**ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 7:6 (7:5), 6:4; სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:0, 6:4; პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (4, შვედეთი) 7:5, 6:7 (5:7) იოჰანსონმა შეწყვიტა; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:6 (7:5), 7:6 (7:5); იონას ბიორკმანი (შვედეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3, 6:4**

ნიკოლა ესკუდისა და ევგენი კაფელნიკოვის იმღლევანდელ მატჩს საჩოგბურთო ამქარი გამორჩევით მოელოდა. ეს გასაგებიცაა — ფრანგები და რუსები ხომ ნოემბერ-დეკემბრის მიჯნაზე ერთმანეთს სადევისფინალოდ უნდა შეებნენ და ამ ორ მჩოგნეს დაპირისპირება იქაც მოუხდებათ. ასე რომ, მათი ლიონური შეხლა დევისმატჩის ერთგვარი რეპეტიცია უნდა ყოფილიყო.

რეპეტიციამ წარმატებით ჩაიარა — ცხადია, მასპინძლებისთვის. ესკუდემ, ვისაც ტრავმის გამო სამი თვე არ ეთამაშა, ნატრავმევს თავისი პირველი შეხვედრა შესაშური ალმაფრენით ჩაატარა და მეორე სეტში 1:4-დან 5 გეიმის ზედიზედ ამოგებით დამაჯერებლად იმარჯვა.

კაფელნიკოვი: „გაოცებული ვარ მისი კარგი თამაშით. ცუდი არც ჩემს გარჯას ეთქმოდა, თუმცაღა გადამწყვეტი გათამაშებებისას მაინც ჩავფლავდი... რაც შეეხება ამ მატჩის სადევისო რაკურსით განხილვას, ჭირს წაუღია ყველა შეხვედრა, თუკი დევისის თასის მოგებას შევძლებთ".

ესკუდე: „კაფელნიკოვის ცოტა უფრო მოდუნებული და მოშვებული მეჩვენა. ის აღარ იბრძვის ისე, საუკეთესო წლებში რომ იცოდა. მაგრამ მაინც საუცხოო, დახვეწილი მობურთალეა და მასთან გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში საამაყო გახლავთ".

კაფელნიკოვთან ერთად ტურნირმა იმ დღეს მეორე ბობოლა — ტომას იოჰანსონიც მოისაკლისა. ანგარიში სათანაბრო იყო, როცა შვედს ზურგის გაუსაძლისი ტკივილი მიეძალა და მანაც მატჩის შეწყვეტა არჩია. არავინ იცის, რა მოხდებოდა, წლევანდელი მეავსტრალიე ქედს რომ არ შეეწუხებინა, მაგრამ ის კი უცილო ფაქტია, რომ ჭაბუკმა ფრანგმა პოლ-ანრი მათიომ, ვინაც ჩვენი ყურადღების არეალში საბოლოოდ გასულ უქმეებზე კრემლის თასის მოხვეჭით დამკვიდრდა, თავისი ზედიზედ მე-11 გამარჯვება მიითვალა.

ამგვარმა უიღბლობამ ჩემპიონთა რბოლაში მე-14 ადგილზე მდგომ იოჰანსონს კიდევ უფრო რთულ ამოცანად უქცია წლევანდელ მასტერსთასზე მოხვედრა. „ამ მომენტში შანხაიში ჩემი წასვლა უფრო ფანტასტიკის სფეროა, ვიდრე რეალური შესაძლებლობა. საამისოდ მე უცებ მაგრად უნდა ავთამაშდე, ალ კოსტამ კი ყველაფერი უნდა წააგოს".

და, მართალია, კოსტა ამ კვირაშივე ვენაში მიმდინარე ტურნირიდან პირველი წრიდან აოტეს, მაგრამ რბოლაში ის მე-7 ადგილზეა და შვედს 81 ქულით უსწრებს.

შეგახსენებთ, რომ შანხაიში გასამართ მასტერსთასზე რბოლის პირველი შვიდადგილოსანი პლუს ზეოცეულში ყველაზე მაღალ ადგილზე გასული იმწლევანდელი მესლემტიტულე მონაწილეობენ.

**PORSCHE TENNIS GRAND PRIX**
ფილდერშტადტი. ჰარდი
საპრიზო 625 ათასი $

**მეორე წრე**

**ტატიანა პანოვა (რუსეთი) — ელენა დოკიჩი (3, იუგოსლავია) 1:6, 6:4, 6:4; მირიამ კაზანოვა (შვეიცარია) — ჟუსტინ ენენი (4, ბელგია) 7:5, 4:6, 6:4; ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:1, 6:2; კიმ კლაისტერსი (6, ბელგია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 6:2; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — მარტინა ჰინგისი (7, შვეიცარია) 6:3, 6:1**

ფილდერშტადტურ ჰერქვეშა მაგარსაფარზე იმ დღეს ერთბაშად სამი სახელიანი გოგოს სკალპი აიჭრა — აქედან ორი სკვითებმა მიითალეს, ერთიც მირიამ კაზანოვამ გაიპიროვნა.

ჯერ მარტინა ჰინგისით დავიწყოთ, რომელსაც იქ 1996, 1997, 1999 და 2000 წლებში უჩემპიონია. ყოვლად გაუფერულებული, გაუღიმღამებული ოდინდელი მეპირველე და, თქვენ წარმოიდგინეთ, იქითა კვირიდან უკვე ყოფილი ზეათეულელიც (!), ეშხიანმა რუსმა დემენტიევამ საათზე წუთზე მეტ ხანში დაამცირა. მის ძალუმ ხათქუნს მარტა მხოლოდ ოთხ გეიმში გაუდავა და მომავალ ორშაბათს გამოქვეყნებულ რეიტინგსიებში 1996 წლის 30 სექტემბრის ანუ ზუსტად 6 წლის შემდეგ პირველად ჩაქვეთდება ზეპური ათეულიდან!

არადა, როცა რამდენიმეთვიანი ტრავმის შემდეგ კორტს უბრუნდებოდა, ჩოგბურთზე მწერლებმა ერთი ამბავი ავტეხეთ, აქაოდა, შავდა უილიამსების გამხედნი ბრუნდებაო. ვაგლახ — ამ ორიოდე კვირის წინ ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ — მარტა ახლა ყველაფერს ჰგავს, ოღონდ არამც და არამც უილიამსთა ჰეგემონიის წინააღმდეგ მეჯვაროსნე ლიდერს.

ამის მიზეზებზე კი ხშირად დაწერილა — ქალთა ჩოგბურთი უფრო ძალისმიერი გახდა და ტანმორჩილ, არცთუ სხარტად მორბენალ ალპელს სულ უფრო და უფრო უჭირს მის მიმართ შეკადნიერებულ გოგონებთან პაექრობა...

შვეიცარიელ ქომაგებს ისღა თუ ანუგეშებდათ, რომ მათმა უსახელო, მაგრამ ცნობილი გვარის მქონე ჯილამ, კაზანოვამ მეოთხე ნომრად განთესილი ჟუსტინ ენენი დაიმორჩილა.

მირიამი 17 წლისაა და წლეულს კლასიფიკაციაში 348-ე ადგილიდან 69-მდე აიწაცვლა. ენენის წინააღმდეგ მან მარტივ ტაქტიკას მიმართა — იდგა უკანახაზთან და რაც ძალა ჰქონდა, უბრახუნებდა. ტაქტიკამ გაამართლა და კაზანოვას ახლა სწორედ დემენტიევა გამოსცდის.

რაც შეეხება ელენა დოკიჩს (3), ჩანს, მკერდვიაგრა იუგგოგოს უკვე ძალები არ ჰყოფნის, რათა თავისი მარათონული სეზონი — და ეს მისი 73-ე მატჩი გახლდათ — ბოლომდე მაღალ დონეზე ჩაათავოს. ამჯერად მას ტანმორჩილი, მაგრამ ჯანიანი ტატიანა პანოვა მოერია.

მორესმოსა და კლაისტერსის ერთნაირანგარიშიან მოგებებზე კი სათქმელიც არაფერია, იმდენად ორივემ მსუბუქად და დარდიმანდად იპარპაშა. სხვათა შორის, კიმი იქ შარშაწინ ფინალშიც გავიდა, მის მიერ ძლეული ივა მაიოლი კი 1995 წლის ჩემპიონი გახლავთ.

ეგ არის და ეგ!

**ლევან ძელაურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL — რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

სანხოსელთა მეკარეს მიკა კიპრუსოფს დეტროიტელთაგან პირველმა კირკ მოლტბიმ გაუტანა

# ოქროკაცის ოქრო სიტყვა

## ბარტყები ნიანგის პირში

**სან ხოსე 3:6 დეტროიტი 1:3 1:3 1:0**
**0:1 მოლტბი (3), 0:2 მოლტბი (8), 1:2 დამფუსი (12), 1:3 ჰოლმსტრომი (17), 1:4 ფიოდოროვი (21), 2:4 დამფუსი (31), 2:5 ფიოდოროვი (32), 2:6 ლიდსტრომი (38), 3:6 რატიე (41)**

„ოქროს ბრეტი", ბრეტ ჰალი, ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ახლაც, დამთავრდა თუ არა მატჩი, თავისი აზრი, სუბიექტური, მაგრამ ანგარიშგასაწევი, ყველას გაუმხილა: „სკოტი დიადი მწვრთნელი იყო. მასზე უკეთესი ალბათ აქამდე არც ყოფილა, მაგრამ ვინ თქვა, რომ არ შეიძლება გამოჩნდეს". მიხვდებოდით, ეს სკოტი ბოუმენს ეხებოდა. მან წინა სეზონის გასრულების შემდეგ დაასრულა თავისი ბრწყინვალე კარიერა და ადგილი დეივ ლუისს დაუთმო, რომელიც 15 წლის განმავლობაში დეტროიტში ასისტენტად მუშაობდა.

ახალი მწვრთნელის დებიუტი მართლაც შთამბეჭდავი გამოდგა. მართალია, პირველ წუთში სტუმრები ორჯერ უმცირესობაში დარჩნენ, მაგრამ კირკ მოლტბიმ ეს აინუნშიც არ ჩააგდო და მეტოქეები ორჯერ დასაჯა. დაწინაურების შემდეგ დეტროიტელებმა მთლად გაშალეს ფრთები და მეორე პერიოდის დასრულებამდე გადაწყვიტეს თამაშის ბედი. ჩემპიონთაგან სერგეი ფიოდოროვმაც დუბლი შეასრულა, თანაც ერთ-ერთი გოლის გატანაში მას ჰ ენდრიკ ზეტერბერგმა შეუწყო ხელი. 22 წლის შვედ დებიუტანტს შარშან ჟურნალისტები ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევდნენ მათ შორის, ვინც ნჰლ-ში არ თამაშობდა და გაამართლა კიდეც — სახელოვან გუნდში მისი დებიუტი წარმატებული გამოდგა. იგივე ითქმის დეტროიტის გაცილებით სახელოვან ახალწვეულზე, კერტის ჯოზეფზეც. ექსტორონტოელმა 24 დარტყმა მოიგერია.

საინტერესოა, რომ მატჩის შემდეგ თავად ლუისი გაცილებით თავშეკავებული იყო. „ეს პირველი მატჩია, წინ ორი შეხვედრა გველის სტუმრად, მერე კიდევ შეიძლება რაიმეს თქმა" — მოკრძალებით ამბობდა დიდი სკოტის მემკვიდრე.

**პიტსბურგი 0:6 ტორონტო 0:2 0:1 0:3**
**0:1 მოგილნი (6), 0:2 სუნდინი (9), 0:3 მოგილნი (23), 0:4 სუნდინი (54), 0:5 პოლარდი (57), 0:6 ანტროპოვი (60)**

განგაშის დროა! მარიო ლემიეს პიტსბურგი შავ დღეშია. ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ... მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ლიდერი 27 თებერვლის შემდეგ, როგორც იქნა, ყინულზე გავიდა, სასტარტო მატჩში „პინგვინები" საბრალო ბარტყებს ჰგავდნენ, რომელთაც თავგზა აუბნია ტორონტოელთა (მოგილნი-სუნდინი-ტაკერის) ახალმა წამყვანმა ტრიომ. მათ თავიანთ გემოზე ითარეშეს მასპინძელთა კართან. თანაც „ალექსანდრ მრისხანემ" (მოგილნის მეტსახელია) რუსთაგან პირველმა მიაღწია 900-ქულიან ზღვარს. თავის მხრივ, ტორონტოს ახალმა მეკარე ედ ბელფორმა დებიუტი „შატაუტით" აღნიშნა.

**ოტავა 1:2 ნიუ ჯერსი 0:0 0:2 1:0**
**0:1 მედინი (23), 0:2 მედინი (39), 1:2 ალფრედსონი (59)**

ნიუ ჯერსის წლეულს ახალი თავკაცი და ბევრი ახალი მოთამაშე ჰყავს და თამაშის სტილსაც შეიცვლის, თუმც კარში კვლავ მარტინ ბროდო უდგას, ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი. მარტინმა (33 მოგერიება) ოტაველი ფორვარდები მატჩის ბოლოსწინა წუთამდე არ გაახარა.

**კოლუმბუსი 2:1 ჩიკაგო 0:0 2:1 0:0**
**0:1 ბერქხინი (27), 1:1 ნეში 28), 2:1 სილინჯერი (38)**

2002 წლის დრაფტის ნომერმა პირველმა რიკ ნეშმა თავის პირველივე მატჩში გაიტანა. თამაშამდე მან კონტრაქტი გააფორმა კლუბთან, რომლის თანახმადაც 3 წლის განმავლობაში 12 მილიონ დოლარს მოიხვეჭს (პრემიალურებთან ერთად), რაც ახალბედასთვის არნახული თანხაა.

**ბუფალო 5:1 აილენდერსი 3:1 2:0 0:0**
**0:1 სკაჩარდი (2), 1:1 ბარნსი (5), 2:1 გრეტონი (14), 3:1 პაიტი (16), 4:1 კონოლი (30), 5:1 დიუმონი (38)**

**ფლორიდა 3:4 ტამპა 1:1 1:0 1:2 0:1**
**0:1 რიჩარდსი (7), 1:1 ოზოლინში (20), 2:1 ოზოლინში (31), 3:1 ჰაგმანი (46), 3:2 ლეკავალიე (48), 3:3 ლეკავალიე (58), 3:4 პროსპალი (64)**

**სენტ ლუისი 3:4 ანაჰაიმი 1:0 1:2 1:2**
**1:0 მაკინისი (20), 1:1 მაკდონალდი (32), 1:2 ჩისტოვი (37), 2:2 სტილმანი (39), 2:3 სმირნოვი (42), 2:4 ლეკლერკი (58), 3:4 კოივისტო (60)**

დღის მთავარი სენსაცია მით უფრო მოულოდნელი გამოდგა, რომ ანაჰაიმის გამარჯვება ზაფხულში მისულმა გამოჩენილმა მოთამაშეებმა კი არ განაპირობეს, არამედ გამოუცდელმა დებიუტანტებმა. 2001 წლის დრაფტის მეხუთემ სტანისლავ ჩისტოვმა, რომელზეც შარშან ამბობდნენ, ნჰლ-ში მისი თამაში ჯერ ნაადრევიაო, გოლით და სამი პასით დაიმშვენა დებიუტი. მასზე უმცროსმა ალექსეი სმირნოვმაც გაიტანა და თან პასიც დაამატა.

**ედმონტონი 2:2 ფილადელფია**
**0:0 0:1 2:1 0:0**
**0:1 ლეკლერი (37), 0:2 ლეკლერი (52), 1:2 ლარაქი (53), 2:2 კარტერი (57)**

**კალგარი 0:3 ვანკუვერი 0:3 0:0 0:0**
**0:1 მორისონი (12), 0:2 ალენი (16), 0:3 ნესლუნდი (20)**

**სამველ ღარიბიანი**

# F1

ჩემპიონატის ეტაპი **იაპონიის დიდი პრიზი**

## სუძუკა

სუძუკა, 13 ოქტომბერი




| | |
|---|---|
| ტრასის სიგრძე | 5.864 კმ |
| რბოლის დისტანცია | 53 წრე — 310.582 კმ |

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 10.30 საათზე

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 მონტოია (უილიამსი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ჰაკინენი (მაკლარენი); 5 ბარიკელო (ფერარი); 6 რ.შუმახერი (უილიამსი)

**წრის რეკორდი:** 2001 — რ.შუმახერი (უილიამსი) 1:36.944 (217,6კმ/სთ)

**ხვალ** მიხაელ შუმახერის რეკორდებით დახუნძლული 53-ე საფორმულო სეზონი დაიხურება.

ტოკიოდან ორასიოდე კილომეტრის დაშორებით მოწყობილი საშუალოდ ჩქაროსნული, სიგრძით კი მეორე (სპა-ფრანკორშამის შემდეგ) ტრასა პრაქტიკულად ყველა პილოტის საყვარელი სასპარეზოა. ტრადიციულად, რბოლებს უამრავი მაყურებელი ჰყავს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მთავარი — საჩემპიონო ინტრიგა უკვე ცნობილია და იაპონიის დიდი პრიზის გათამაშება რიგითი ეტაპი ხდება, თანაც კარგა ხანია, ფორმულა 1-ში ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები აღარ ჩანან. „სუძუკაზე" მოგებებით ყველაზე წინ არიან „მაკლარენი" (6) და მიხაელ შუმახერი (4).

ხვალინდელი რბოლა საიუბილეო, მეასე გახდება რალფ შუმახერისთვის, მისი უფროსი ძმა კი კარიერაში 50-ე პოულის მოგებას ეცდება. ხვალ უკანასკნელად გაიჯირითებს 35 წლის მიკა სალო — ფინელ პილოტს „ტოიოტამ" საგაისოდ კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. იაპონელთა სიძე პენსიაში გასვლის წინ ყოველ ღონეს იხმარს, რათა ფინიშთან ჩასათვლელ ექვსეულში მივიდეს და მეუღლისა და მისი ნათესავების თვალწინ ლამაზად დაასრულოს არცთუ შთამბეჭდავი საფორმულო მოღვაწეობა.

გუშინ პირველ ოფიციალურ ვარჯიშზე მძიმე ავარია შეემთხვა ექსჩემპიონ ჟაკ ვილნევს. კანადელმა ერთ-ერთ მოსახვევში შეცდომა დაუშვა, შედეგად მისი BAR-ი მთელი ძალით მიეხეთქა ძველი საბურავების ღობეს. საბედნიეროდ, მრბოლი უვნებლად გადარჩა და ერთ საათში ისევ გამოჩნდა ტრასაზე. პირველ ცდაზე საუკეთესო დრო მიხაელ შუმახერმა („ფერარი") აჩვენა, შესვენების შემდეგ კი კიმი რაიკონენის „მაკლარენმა" გაიქროლა ყველაზე სწრაფად. მის თანაგუნდელ დევიდ კულჰარდს მეორე შედეგი ჰქონდა. მაკლარენელებს მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ რუბენს ბარიკელო („ფერარი"), ხუან პაბლო მონტოია („უილიამსი"), რალფ და მიხაელ შუმახერები... ვილნევი მხოლოდ მე-19-ე იყო.



ჟაკ ვილნევის ბოლიდი ტრასიდან გასატანი გახდა

**ჩემპიონთა იაპონური მონაგარი**

| | | ადგილი ჩასათვლელ ექვსეულში | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რბოლა | 91 | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 00 | 01 | ქულა |
| მ. შუმახერი | 11 | გ | გ | გ | II | I | II | I | გ | II | I | I | 58 |
| ირვინი | 9 | | | VI | V | IV | გ | III | II | III | — | გ | 20 |
| ფრენცენი | 8 | | | | VI | — | VI | II | V | IV | გ | — | 13 |
| კულჰარდი | 7 | | | | | გ | — | — | III | გ | III | III | 12 |
| ბარიკელო | 9 | | | V | გ | გ | — | გ | გ | — | IV | V | 7 |
| მონტოია | 1 | | | | | | | | | | | II | 6 |
| რ. შუმახერი | 5 | | | | | | | — | გ | V | გ | VI | 3 |
| პანი | 7 | | | | — | V | — | გ | — | გ | | — | 2 |
| ბატონი | 2 | | | | | | | | | | V | — | 2 |
| ვილნევი | 6 | | | | | | გ | — | VI | — | VI | — | 2 |
| სალო | 6 | | | | — | VI | გ | გ | გ | | — | | 1 |
| ფიზიკელა | 5 | | | | | | | — | — | გ | — | — | 0 |
| ტრული | 4 | | | | | | | | გ | გ | — | — | 0 |
| დე ლა როსა | 3 | | | | | | | | | — | — | გ | 0 |
| ჰაიდფელდი | 2 | | | | | | | | | | გ | — | 0 |
| ბერნოლდი | 1 | | | | | | | | | | | — | 0 |
| რაიკონენი | 1 | | | | | | | | | | | გ | 0 |
| იონგი | 1 | | | | | | | | | | | — | 0 |

შენიშვნა: გ — რბოლას გამოეთიშა;
ცხრილში არ არიან დებიუტანტები — სატო, მასა, მაკნიში, ვებერი



*კლოდ სორელს ასე არასდროს გამოუკეტია თავისი რაზმი — ქართველ მორაგბეებს კვირის მატჩამდე ჟურნალისტებთან და საზოგადოებასთან ყოველგვარი ინტერვიუ-საუბრები აეკრძალათ. ასეთი კარჩაკეტილობა ადვილი ასახსნელი და იოლად გასაგებია — საქართველოს ნაკრებს თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის და მორაგბეებს გარე სამყაროსთან ურთიერთობის დრო ახლა ყველაზე ნაკლებად აქვთ.*

# კლოდ სორელი: ეს თამაში ქართველი ხალხისთვის გვინდა

## რუსების პრეზიდენტს საბჭოთა კავშირიდან დაურეკეს



ნაკრების კურატორი გია ჰუმბურიძე, კლოდ სორელი და ილია ზედგინიძე გუშინდელ პრესკონფერენციაზე

**ინტერვიუ** ინტერვიუდ და, მატჩისწინა პრესკონფერენცია სპორტული მოვლენის განუყოფელი და ოფიციალური ნაწილია. ასე რომ, პარასკევს ბორჯღალოსანთა ფრანგი მოძღვარი თვინიერად გამოცხადდა მედიასთან და „გარე სამყაროსთან" შეხვედრაზე, თან ნაკრების ახალი კაპიტანი ილია ზედგინიძე იახლა.

**კლოდ სორელი:** მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ. შეკრებით კმაყოფილი ვარ, მთავარი კი ისაა, რომ გუნდმა სრული შემადგენლობით შეკრება მოახერხა.

ამ მატჩისთვის ყველანაირად მზად ვართ. მეტოქე სერიოზულია. ვფიქრობ, რუსეთის ნაკრები პროგრესს განიცდის, შეთამაშებული გუნდია, რაც ირლანდიასთან თამაშმაც გამოაჩინა. ჩვენ შესწავლილი გვაქვს მათი თამაში.

ირლანდიასთან საქართველოს ნაკრებმა შესაძლებლობები სრულად ვერ წარმოაჩინა. ორი ლელოს გატანის მიუხედავად, ეს იყო ნამდვილი მარცხი და იმედგაცრუება ბიჭებისგან ბოლო დროს იქნებ ზედმეტად ბევრს მოვითხოვდით. გუნდში ერთგვარად დეპრესიაც შეინიშნება. ბიჭებისთვის ირლანდიასთან წაგება არ უნდა ყოფილიყო რაღაც სერიოზული, რადგან ისინი ამ შეხვედრას რუსეთთან მატჩის ერთ-ერთ მოსამზადებელ წინაეტაპად თვლიდნენ. მათ წარმოდგენაში ყველაფერი ამ შეხვედრაზეა დამოკიდებული. ჩვენ გაგვაჩნია ყველაფერი, ტექნიკური, ტაქტიკური თუ სხვა საშუალება რუსთა დასამარცხებლად. ყველა ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. ამასთან, სასწორზე დაიდება მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა მეც თქვენსავით მაინტერესებს, კვირას როგორი განწყობით გავა გუნდი მოედანზე და მაინც, მე შანსებს ორმოცდაათი-ორმოცდაათზე შევაფასებდი.

შემდეგ ბატონმა კლოდმა დაასახელა „ბორჯღალოსანთა" რაზმის 22-კაციანი შემადგენლობა და აღმოჩნდა, რომ მას მარცხენა გარემარბის პოზიციაზე გაუმწესებია კარიერის გარიჟრაჟზე მოკიდელი, ნაკრების ბოლო შეხვედრებში კი შეუმჩნევლად ჩამოყალიბებული ვასილ კაცაძე. თამაში ექსპერიმენტია და რომ არ გაამართლოს, სორელს სამარქაფო უკანახაზელად გამოუცდელი გიორგი ელიზბარაშვილი ჰყავს. ბატონმა კლოდმა აქვე დაგვაიმედა — ელიზბარაშვილიც და კიდევ ორი ახალგაზრდა სათადარიგო უკანახაზელი, ოთარ ბარკალაია და მერაბ კვირიკაშვილი ყოველმხრივ მზად არიან შეხვედრისთვის და თუ მათი დახმარება დაგვჭირდა, უშიშრად გავლენ მოედანზე.

— გამთამაშებელი კვლავ პალიკო ჯიმშელაძე იქნება — ამბობს სორელი — ბოლო მატჩი საუკეთესო არ იყო პალიკოსთვის, მაგრამ მთლიანობაში ის ყველაზე სასურველია. გადასაწყვეტია, ვის დავარტყმევინებთ ჯარიმებს, მას თუ მალხაზ ურჯუკაშვილს. ბოლო დროს ორივეს კარგი შედეგები აქვს.

— **ამ მატჩისთვის არ გამოგიძახებიათ ბობა კვინიხიძე. რუმინეთთან მან შესანიშნავად ითამაშა...**

— შესაძლოა, გულშემატკივრებზე მან არ დატოვა ცუდი შთაბეჭდილება, მაგრამ შეხვედრის ანალიზის დროს დავრწმუნდით, რომ კვინიხიძე არაა ის მოთამაშე, რომელიც ჩვენ გვჭირდება. ის ახლა პიკზეა და ზრდა ფაქტობრივად დასრულებული აქვს. იგი იყო შეკრებაზე გამოძახებული და იქ ძალიანაც მოინდომა. მან პიროვნულად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ნაკრები არ უნდა იყოს გრძნობების და სენტიმენტების გამჟღავნების ადგილი.

— **რატომ შეცვალეთ კაპიტანი?**

— ძველი კაპიტანი, ლევან ცაბაძე შესანიშნავი მორაგბეა. მან წარმატებული კარიერა აიწყო კლუბში, სადაც უდიდესი დატვირთვები აქვს. ასევე დიდი ტვირთია ნაკრების კაპიტნობა და ვფიქრობ, მისთვისვე აჯობებდა, ეს ტვირთი შევუმსუბუქებინა. მეორე მხრივ, დიდი ხანია, ვფიქრობდი, რომ ილია ზედგინიძე შესანიშნავი კაპიტანი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ილო დიდი მოთამაშე გახდება.

— **ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ როგორია გუნდის განწყობა?**

**ილია ზედგინიძე:** რწმენა და თავდაჯერება არავის გვაკლია. თამაში მნიშვნელოვანია და ამ თვალსაზრისით არის გარკვეული ზეწოლა, მაგრამ შიშზე საუბარი უადგილოა. ყველანი ვეცდებით, საუკეთესო მატჩი ვითამაშოთ.

— **თქვენ რუსეთთან შარშანდელი მატჩის მონაწილეც ხართ. მიიჩნევთ თუ არა მაშინდელი ფრის მიზეზად სავსე სტადიონს?**

— მართალია, არ ველოდით ამდენ მაყურებელს. ამის გამო მოთამაშეებს შორის დაირღვა ერთგვარი კომუნიკაცია მოედანზე, რაც გუნდური თამაშისთვის აუცილებელია. ახლა ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში გვაქვს.

და ისევ **კლოდ სორელი:** ჩვენ ყველაფერი გავილეთ ამ თამაშისთვის მოსამზადებლად. ამ მატჩის მოგება პირველ რიგში ქართველი ერისთვის გვინდა. ვისურვებთ, რომ კვირას სტადიონი სავსე იყოს და მჯერა, იმ ხალხისთვის ეს იქნება დღესასწაული.

საზეიმო სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კლოდ სორელი და მისი ამალა გამოვეთიშეთ. ქართული სპორტული მედიაც დაშლას აპირებდა, რომ შეგვატყობინეს, რუსთა დელეგაციის მეთაურები გვეახლებიანო. ათი წუთის შემდეგ ოთახში რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი და მწვრთნელი ალექსანდრ პერვუხინი შემოვიდნენ.

**ალექსანდრ პერვუხინი:** შანსები თანაბარია. მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, იციან ერთმანეთის ნაკლი და ძლიერი მხარეები. მოიგებს ის გუნდი, რომელსაც უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდება.

**იური ნიკოლაევი:** ვფიქრობ, ორივე გუნდმა, თქვენც და ჩვენც დავიმსახურეთ მსოფლიოს თასზე თამაში. ასე მოხდა, კვლავ ერთმანეთს დავეჯახეთ. ისე დროა, მეტოქეები გამოვიცვალოთ.

—აქ ბატონ პრეზიდენტს საუბრის დროებით შეწყვეტა მოუხდა, რადგან ტელეფონზე დაურეკეს. რუსთა მეთაურს მობილურზე ზარად ჩვენთვისაც ასე კარგად ნაცნობი საბჭოთა და ახლა უკვე რუსეთის სახელმწიფო ჰიმნი აქვს დაყენებული...

— **მეტოქეთაგან ყველაზე მეტად ვის უფრთხით?**

**ნიკოლაევი:** ყველას...

**პერვუხინი:** არავის ვუფრთხით, ყველას პატივს ვცემთ. ლაბაძე, შემდეგ 15 ნომერი (ხამაშურიძე). სუსტი მხარეები არა გაქვთ. ჩვენთან ბოლო მატჩის შემდეგ თქვენმა გუნდმა შესამჩნევად მოუმატა. განსაკუთრებით დაცვაში. მაგრამ ჩვენ მაინც დაახლოებით თანაბარი გუნდები ვართ, შეიძლება ითქვას, პარალელურად ვვითარდებით.

— **რა მოჰყვება საქართველოსთან თქვენს მარცხს?**

— მსოფლიოს თასზე გასვლა უმნიშვნელოვანესია. ეს მსოფლიო აღიარებას ნიშნავს. ჩვენში ქვეყანა თვალს ხუჭავს რაგბიზე. რაგბი ნებისმიერი დონის ჩინოვნიკებისთვის არ არსებობს. აი, რამხელა აჟიოტაჟი უსწრებს საფეხბურთო მატჩს, რაგბიზე კი არსად სიტყვა არ იძვრის. აქ მარცხის შემთხვევაში ჩვენში რაგბი არ მოკვდება, ის იარსებებს, მაგრამ წინსვლას კი შეაფერხებს. ჩვენ გავწიეთ უდიდესი შრომა და ახლა ძალიან გვჭირდება გამარჯვება.

**ირაკლი ფირაშვილი**

**საქართველოს ნაკრები**

**ძირითადი შემადგენლობა**

1. გოდერძი შველიძე
2. აქვსენტი გიორგაძე
3. ლევან ცაბაძე
4. ვანო ნადირაძე
5. ვიქტორ დიდებულიძე
6. ზურაბ მჭედლიშვილი
7. გია ლაბაძე
8. ილია ზედგინიძე
9. ირაკლი აბუსერიძე
10. პალიკო ჯიმშელაძე
11. ვასილ კაცაძე
12. კახა ალანია
13. თედო ზიბზიბაძე
14. მალხაზ ურჯუკაშვილი
15. ბესიკ ხამაშურიძე

**სათადარიგონი**

16. მევლუდ მთიულიშვილი
17. ტატო რატიანიძე
18. გრეგუარ იაშვილი
19. გიორგი ჩხაიძე
20. მერაბ კვირიკაშვილი
21. ოთარ ბარკალაია
22. გიორგი ელიზბარაშვილი

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

13 ოქტომბერი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

## საქართველო — რუსეთი

# ღმერთო ჩემო, ისევ საქართველო

## დათვებს პუტინის ბომბების ეშინიათ



**მაშ ასე, ექვსი თვის მერე რუსეთის ნაკრები კვლავ თბილისშია, ახლა გაცილებით ამბიციური, მომძლავრებული და საომრად გამზადებული. 36-კაციანი დელეგაცია, რომელშიც 24 მორაგბეა, დაბურულშუშებიანმა „მერსედესმა“ და „კანარეიკამ“ მოაცილა სასტუმრომდე. „მერსედესში“ შავკოსტუმიანი შეიარაღებული დაცვა იჯდა, რომელიც რუსებმა თბილისში გამოფრენამდე მოითხოვეს და რომელიც უკან გაბრუნებამდე რუსთა უსაფრთხოებას დაიცავს. ღმერთო ჩემო, ისევ საქართველო... ამოიოხრ — ამოიძახა ავტობუსიდან ჩამოსულმა რუსეთის ნაკრების კაპიტანმა ვიაჩესლავ გრაჩოვმა და მზერა ცისკენ აღაპყრო. ასე იდგა რამდენიმე წამს, მერე ბარგი მოიკიდა და თანაგუნდელებს სასტუმროს ფოიეში შეჰყვა**

სასტუმრო „სიმპათიის“ ფოიე „დათვებით“ გაივსო. „ბიჭებო, ახლა ვისადილოთ, დავისვენოთ და ერთ საათში ვივარჯიშოთ“ — ბრძანა რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იური ნიკოლაევმა, თვითონ კი მწვრთნელ ალექსანდრ პერვუხინთან ერთად პრესკონფერენციაზე წავიდა.

ეგებ ბევრმა არც იცოდეს, რომ მორაგბეობისას ნიკოლაევი რუსეთის ნაკრების მე-10 ნომერი იყო და ოთხი წლის წინათ თბილისშიც ჩამოჰყვა გუნდს. ოღონდ მაშინ არ უთამაშია, მსაჯების გინებისთვის დისკვალიფიცირებული იყო.

რუსთა დელეგაციაში ვერ დავლანდეთ ქართველი დუშლას კავთელაშვილი, რომელიც გაზაფხულზე ნაკრებს უფროსობდა. როგორც ნიკოლაევმა გვითხრა, კავთელაშვილს არანაირი პოსტი აღარ უკავია ნაკრებში და თბილისში არ წამოვიყვანეთო. ნიკოლაევს და პერვუხინს არ გაჰყვა რუსთა სამხრეთაფრიკელი თავკაცი ჯეიმს შტოფბერგი, რომელმაც სასტუმროში დარჩენა და დასვენება არჩია. ბოდიში, ინტერვიუებს არ ვძლევო, მოგვიგო შტოფბერგმა და ნომერში ავიდა. თითქოს ამას ელოდნენო და, მორაგბეებიც უკან მიჰყვნენ, თუმც ბარგის დაბინავების შემდეგ უკანვე ჩამოვიდნენ და სასადილოს მიაშურეს.



ჯეიმს შტოფბერგი

მენიუ რუსებს ადრევე შეუკვეთათ. სადილად ჩვენი სტუმრები ბოსტნეულის სალათს, ქათმის სუპს და ნივრიან შემწვარ ქათამს მიირთმევენ, ვახშამზე კი ვინეგრეტს და შემწვარ ხბოს ხორცს შეექცევიან. როგორც რუსებისგან გავიგეთ, მათ დიეტოლოგი ჰყოლიათ და იმისაც მენიუ საგანგებოდ შეურჩევია.

ნასადილევს ზოგმა წაუძინა, უმეტესობა კი ტელევიზორს მიუჯდა — საქართველოსა და რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი იწყებოდა.

გარუსებული ყაზახი მურატ უამბაევი, ეტყობა, შორს დგას ფეხბურთისგან, რაკი ტელევიზორთან მიმსხდარმა თანაგუნდელებმა რომ დაუძახეს, ხელი ჩაიქნია და ბარში წვენი მოითხოვა. გრენობლელ უამბაევსაც ამ დროს გავესაუბრეთ.

— საქართველოში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ. ბოლოს ოთხი წლის წინ ვიყავი. ის მატჩი დღემდე კარგად მახსოვს. ბოლო ათი წუთი უკანმოუხედავად ვუტევდით, ვფიქრობდით, ახლა გატყდებიან ქართველებიო, მაგრამ თქვენს ნაკრებს ძვრა ვერ ვუყავით. ყოჩაღ მათ, ნამდვილი კაცები არიან. წლეულს გაზაფხულზე ტრავმის გამო ვერ ჩამოვედი თბილისში. ბიჭებმა მითხრეს, მაგარი ბრძოლა იყოო, თანაც ტრიბუნები სულ გავსებულა. ეჰ, რა სანახაობა გამომტოვე...

**— მომავალ მატჩზე რას იტყვით?**

— ოთხი წლის წინანდელი და წლევანდელი მატჩი ერთად რომ ავიღოთ, ამათი სიმძაფრე და მნიშვნელობა ახლოსაც ვერ მივა კვირის მატჩთან. აქედანვე წარმომიდგენია, რა ბრძოლა გველის ორივე გუნდს. დანდობა არ იქნება, ცხადია, მოედანზე, თორემ მოედნის გარეთ მეგობრებად დავრჩებით. სხვათა შორის, თვითმფრინავში ბიჭები მეუბნებოდნენ, საქართველოში ანტირუსული განწყობააო. ჯერჯერობით ასეთი არაფერი შემინიშნავს. აეროპორტშიც და სასტუმროშიც თბილად დაგვხდნენ. თუ რამეა, იცოდეთ, რომ ყაზახი ვარ, უბრალოდ, რუსეთის ნაკრებში ვთამაშობ, რა თქმა უნდა, ვხუმრობ!

**— კვირას სახუმროდ აღარ იქნება საქმე. თქვენი პროგნოზი როგორია?**

— შანსები თანაბარია. ისე კი, საქართველო ჩვენზე ოდნავ ძლიერია, თანაც შინ თამაშობს.

**— რით არიან ჩვენები თქვენზე ძლიერები?**

— შერკინებით. პირველიდან მერვე ნომრამდე ყველა მაღალი დონის მორკინალია. კარგი უკანახაზი გყავთ. საერთოდ, საფრანგეთში ბევრს სწავლობ და ეს საქართველოს ნაკრებსაც ეტყობა. განსაკუთრებით ჩემს თანაკლუბელ ვასკა კაცაძეს გამოვყოფდი, ძალიან დიდი ძალაა.

**— კაცაძესთან მეგობრობთ?**

— ვასკა ნამდვილი ქართველია. კარგი მეგობრები ვართ. პალიკო ჯიმშელაძეც ჩემი მეგობარია. სანამ „ორილაკში“ გადავიდოდა, სულ ერთად ვიყავით. მისნაირი ალალი, გულღია და ხათრიანი ბიჭი არ შემხვედრია.

უამბაევმა წვენი ბოლომდე დალია და თითით მანიშნა, აი, ამ კაცს ხომ ხედავ, ეგ თუ მოერევა თქვენს პირველხაზელებს, თორემ სხვისი იმედი ნაკლებად მაქვსო. მეც იქითკენ გავიხედე და ჯობდა, არ გამეხედა. სავარძელში იჯდა ბლანჟიანი დათვი, ნამდვილი რუსული დათვი, ბულასავით კისრით და ტანზე ბატიბუტივით კუნთებით. მისი ვინაობა ვიკითხე და გარუსებული სამხრეთაფრიკელი იოჰან ჰენდრიქსი აღმოჩნდა, მეტსახელად „ტანკი“. ამ კაცის მკაცრი გამომეტყველების შემხედვარემ ახლოს მისვლა ვერ გავბედე, მაგრამ მერე თავად შეამჩნია, რომ მისდამი ინტერესს ვიჩენდი და მომიახლოვდა. თუ რამე გაინტერესებთ, ახლა მკითხეთ, თორემ წაძინებას ვაპირებო, მითხრა „ტანკმა“ და გაიღიმა. ეგ აქამდე გექნა, შე კაი ადამიანო-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის და საუბარიც გავაბით.



იოჰან ჰენდრიქსი

**— თანაგუნდელებს თქვენი დიდი იმედი ჰქონიათ...**

— თუ ჩემი იმედი აქვთ, ესე იგი, არ უნდა დავაღალატო, ისე, ზედმეტ რეკლამას მიკეთებენ, არც ისე მაგარი ვარ, როგორც ეგენი ამბობენ. თუმც ძალა ნაღდად მერჩის.

**— იმდენი, რომ ქართველ მორკინალებს მოერევით?**

— ცხადია, ქართველებს მარტო არ შევასკდები, წინ ვინც დამიდგება, იმას კი ნამდვილად დავახევინებ უკან.

**— დარწმუნებული ხართ?**

— დიახ. საქართველოს ნაკრებში შერკინების ბურჯია მე-3 ნომერი (ლევან ცაბაძე), ძალიან მაგარი ბიჭი ჩანს. სწორედ მაგას უნდა ვაყარო შავი დღე. დანარჩენზე მატჩის შემდეგ ვილაპარაკოთ, ახლა კი უნდა დავისვენო.

„ტანკი“ მეტი აღარ შემიყოვნებია. თანაც კიბეზე ორმეტრიანი გოლიათი სერგეი სერგეევი დაეშვა. სერგეევმა ტელეფონით სადღაც გადარეკა, მერე კი ჩვენთვისაც მოიცალა...



სერგეი სერგეევი

**— რას ნიშნავს თქვენთვის ქართველებთან თამაში?**

— უპირველეს ყოვლისა, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მომენტს, ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს. ბევრი ამ მატჩს პოლიტიკას უკავშირებს, მაგრამ ვცდილობ, არ ვიფიქრო მოედნისმიღმა ინტრიგებზე და მთელი ყურადღება თამაშში ჩავდო. ძალიან მინდა, კვირას მოვიგოთ. ბოლოს და ბოლოს, თბილისში ერთხელ მაინც ხომ უნდა გავიმარჯვოთ.

**— ამის იმედი გაქვთ?**

— რატომაც არა. შარშან კრასნოდარში წავაგეთ. წლეულს თბილისში ფრე იყო, ახლა დროა, მოვიგოთ.

**— ირლანდიასთან მატჩის შემდეგ თქვით, რუსეთის ნაკრებს გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ვიდრე საქართველოსაო.**

— ეს იმიტომ, რომ ქართველები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მყავდეს. მგონი, ფსიქოლოგიურად თქვენები მთლად მტკიცედ ვერ გამოიყურებიან. ეს კარგად გამოჩნდა გაზაფხულზე, როცა სამოცი ათასი ქომაგის დანახვაზე ქართველები მაგრად დაიბნენ. ახლაც ამის იმედი მაქვს. ობიექტურად კი შანსები ორმოცი სამოცზეა თქვენების სასარგებლოდ.

ეს თქვა სერგეევმა და თავაზიანად დაგვემშვიდობა, უნდა წავიდეო, მაგრამ მოულოდნელად მობრუნდა და... სიგარეტი ხომ არ გაქვსო. სიგარეტზე უარს როგორ ვეტყოდი. სერგეევმაც მალულად გამომართვა ერთი ღერი და სასტუმროდან გავიდა. წასვლას ვაპირებდი, რომ სერგეევმა კარებთან შემაჩერა და ახლა ასანთი მთხოვა. სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და დაწყებული საუბრის გაგრძელებაც მოჰყვა.

**— მწვრთნელები არ გიშლიან მოწევას?**

— მიშლიან, მაგრამ რა ვქნა? პატარა აღარ ვარ, ნოემბერში 36 წელი შემისრულდება. თუ ვეწევი, ვთამაშობ კიდეც. სხვა საქმეა, სიგარეტის მოწევა თამაშში ხელს მიშლიდეს, მაგრამ ეს ასე არ არის... რა კარგია თქვენთან, თბილა, მზეა, მოსკოვში უკვე თოვლია, ძალიან ცივა. კარგად ვერ მოვემზადეთ, მოედანი მოყინული იყო, არაფრად ვარგოდა. ჰო, მართლა, გავიგე, პანკისში ყოფილა რაღაც ბრძოლები, იქ რა ხდება, ბანდიტები არიან?

**— პუტინს რომ ჰკითხოთ, ბენ ლადენიც იქ არის, ჰოდა, პანკისის ხეობას დავბომბავო, გვემუქრება.**

— რა უნდა, რას გერჩით. ქართველებისგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს, თბილისში ისეთი სუფრები გაუშლიათ ჩვენთვის, რომ... რა კარგი დრო იყო. პანკისი შორსაა თბილისიდან?

**— არა, აქვეა, დაახლოებით ორმოცი კილომეტრია** (ვიანგლე).

— მართლა? მე მითხრეს...

სერგეევს სახე მოეღუშა და თანაგუნდელებს დაუძახა, მაგრად შეჯორა, რას მატყუებდით, პანკისი თბილისიდან შორსაა, ახლო-მახლო ბომბი რომ დაეცეს, ვერ გადამირჩებითო...

**ბაჩო სვანიძე**

**ავთანდილ გურასაშვილი (ფოტო)**



მურატ უამბაევი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge